პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

შაბათი, 1 თებერვალი 1936 წ. № 25 (4484)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

დღეს ნომერშია

— ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაციის მიღება პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიერ კრემლში.
— ფართოდ გავშალოთ კულტურული ვაჭრობა (მოწინავე).
— ა. მ. გორკის წერილი ლენინგრადის ქაღალდის ფაბრიკის სტახანოველებს (1 გვ.)
— მევენახე სტახანოველთა [illegible] (3 გვ.).
— ს. სალარიძე—[illegible] ცხოვრებიდან (3 გვ.).
— კომკავშირის [illegible]

ფართოდ გავშალოთ კულტურული ვაჭრობა

საბჭოთა ვაჭრობამ შარშან განსაკუთრებით მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. გადაჭარბებით შესრულდა საქონელბრუნვის გეგმები. გაუქმდა სასურსათო პროდუქტებზე საბარათო სისტემა და უფრო ფართოდ გაიშალა საბჭოთა ვაჭრობა.

„საბჭოთა ვაჭრობის განვითარებისათვის — განაცხადა საკავშირო ცაკის სესიაზე ამხ. მოლოტოვმა—წელს განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იქმნება. საქონლის მასა და საბაზრო ფონდები უდიდესად იზრდება. მოსახლეობის შემოსავალი ისე დიდდება, როგორც ეს არასოდეს ყოფილა. ფულადი მეურნეობა ჩვენი ფართო განვითარების პერიოდში იმყოფება. საბჭოთა მანეთი მტკიცდება".

საქართველოში უკვე დამთავრდა სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელის რეორგანიზაცია. მოხდა სამომხმარებლო საზოგადოებათა გამსხვილება, დაიკეტა არარენტაბელური სავაჭრო წერტები, ახლად დაარსდა 47 სოფლის მაღაზია. მიმდინარეობს არსებული სავაჭრო წერტების შეკეთება და გაფორმება, სარაიონთაშორისო ბაზების ლიკვიდაცია მთავრდება და რაიკავშირები უკვე იწყებენ საბითუმო ვაჭრობას.

ამრიგად, გაშლილ საბჭოთა ვაჭრობის ფართო განვითარებისათვის ყველა პირობაა შექმნილი. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია საბჭოთა ვაჭრობის კადრებზე, კოოპერაციის მუშაკებზე სოფლად და მათ კულტურულ ვაჭრობაზე.

კულტურული ვაჭრობა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს სავალდებულო ასორტიმენტის მაღალ-ხარისხოვანი საქონლით შეუფერხებლად ვაჭრობას. მომხმარებელს არ უნდა დასჭირდეს ერთი სავაჭროდან მეორეში ხეტიალი, პირველი მოთხოვნილების საგნების ძებნა, მით უმეტეს სოფლად, სადაც სავაჭრო წერტების რაოდენობა ჯერ კიდევ არც ისე დიდია.

სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელში სავალდებულო ასორტიმენტის საქონლით ვაჭრობა ახლა ინერგება. ამ მხრივ სამაგალითოა ტფილისის რაიკავშირის მცხეთის სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოება, სადაც ყოველთვის იშოვნით სავალდებულო ასორტიმენტით გათვალისწინებულ პირველი მოთხოვნილების საგნებს. ასეთი სავაჭროები საქართველოს სხვა რაიონებშიაც არის. მაგრამ არასაკმაო რაოდენობით. სამომხმარებლო კოოპერაცია ჯერ კიდევ ვერ მუშაობს საკმაო მოქნილობით. ამიტომ მომხმარებლებისათვის საქონლის მიწოდება ფერხდება.

სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა სავაჭრო წერტში უნდა დაინერგოს სავალდებულო ასორტიმენტით ვაჭრობა ამას მოითხოვს კულტურული ვაჭრობა, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა, სტახანოველთა გაზრდილი მოთხოვნები. სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარე კოოპერატივის წევრთა წარმომადგენელია. მან უნდა უზრუნველყოს სავალდებულო ასორტიმენტის საქონლით მეთაურ სავაჭროსი და შორეული წერტების შეუწყვეტელი მომარაგება. ახლა დახლის მუშაკის, მაღაზიის გამგის, სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარის მუშაობა ფასდება იმით, გამოულევლად აქვთ თუ არა სავალდებულო ასორტიმენტის საქონელი და ვაჭრობენ თუ არა ისინი რენტაბელურად.

კულტურული ვაჭრობა მოითხოვს, რომ ყველა სავაჭრო წერტი იბრძოდეს თითოეული მყიდველისათვის. ვაჭრობის თვითეული მუშაკი, თვითეული სავაჭრო უნდა იცნობდეს მომხმარებელს, მის გემოვნებას და იბრძოდეს მომხმარებლის მოთხოვნის შეუფერხებელი დაკმაყოფილებისათვის. საბჭოთა ვაჭრობის მუშაკი უნდა ეხმარებოდეს მომხმარებელს საქონლის შერჩევაში, აძლევდეს მას რჩევა-დარიგებას საქონლის ხარისხის და მოხმარების საქმეში. ნამდვილი კულტურული მაღაზია ის არის, რომელსაც აქვს მტკიცე ასორტიმენტი მაღალი ხარისხის საქონლის და ჰყავს მუდმივი მომხმარებელი. კოოპერაციამ თავისი მუშაობა უნდა შეუფარდოს მომხმარებლის მოთხოვნას, გემოვნებას და მის კულტურულ დაკმაყოფილებას.

კულტურული ვაჭრობის წამყვანი რგოლი სოფლად რაიმაღაზია და სოფლმაღაზია. მათ სანიმუშოდ უნდა დააყენონ მომხმარებლის გემოვნების და მოთხოვნის გადიდებული ასორტიმენტით დაკმაყოფილება.

სოფლად კულტურული ვაჭრობა ბევრადაა დამოკიდებული რაიკავშირზე და მის მიერ საბითუმო ვაჭრობის გაშლაზე. ზოგი რაიკავშირის უხეირო მუშაობით ფერხდება კულტურული და რენტაბელური ვაჭრობის განვითარება. საგარეჯოს, ყვარელის და ზოგიერთ სხვა რაიკავშირებს დღემდის ვერ მოუგვარებიათ საბითუმო ვაჭრობის საქმე. საბითუმო ვაჭრობა სტახანოვური მუშაობის მეთოდების გამოყენებით მოწოდების სიმაღლეზე უნდა დააყენონ. რაიკავშირებმა უნდა მოაგვარონ ტრანსპორტის საქმე და უზრუნველყონ მაღაზიებამდე აუცილებელი ასორტიმენტის საქონლის შეუწყვეტელი მიტანა. ცეკავშირმა ყურადღება განსაკუთრებით უნდა მიაქციოს საგარეჯოს, ყვარელის, მარტვილის, წალენჯიხის, ცხაკაიას რაიკავშირების საბითუმო ვაჭრობის საკითხებს.

საბჭოთა ვაჭრობაში მუშაობის სტახანოვური მეთოდების დანერგვა ნამდვილი კულტურული ვაჭრობის გაშლის ერთერთი მძლავრი ფაქტორია. ამ მხრით საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციაში ჯერ ძალიან ცოტაა გაკეთებული. რაიკავშირების უმრავლესობას მხოლოდ თითოოროლა წარჩინებული ჰყავს. ცეკავშირის და რაიკავშირების გადაუდებელ ამოცანას შეადგენს მუშაობის სტახანოვური მეთოდების მასობრივად გაშლა მთელ სისტემაში. მათ ვაჭრობის მუშაკებს უნდა შეუქმნან ყველა პირობა სტახანოვური მუშაობისათვის. ცნობილია, რომ დირექციის აქტიური დახმარებით მასობრივად გაიშალა სტახანოვური მოძრაობა გასტრონომის მაღაზია № 1 (ტფილისი). ამ მაღაზიის სტახანოველებს მთელ საბჭოთა კავშირში იცნობენ.

ახლა კადრები სწყვეტენ ყველაფერს. სამომხმარებლო კოოპერაციაში მომუშავე კადრების 60 პროცენტზე მეტი დაბალი განათლებისაა, ხოლო 8 პროცენტი წერაკითხვის უცოდინარია ამიტომ კადრების შერჩევა და განსაკუთრებით მათი მომზადება სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელი ორგანიზაციების საზრუნავი საგანი უნდა იყოს. კადრების წინწაწევის მთავარი რგოლი ტექმინიმუმის დაუფლებაა. სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა მუშაკი უნდა დაეუფლოს ვაჭრობის ტექნიკას.

საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკის დაუფლებით, მუშაობის სტახანოვური მეთოდების დანერგვით სამომხმარებლო კოოპერაცია უნდა გადაიქცეს რენტაბელური და კულტურული ვაჭრობის ნამდვილ კერად.

ა. მ. გორკის წერილი ლენინგრადის ქაღალდის ფაბრიკის სტახანოველებს

ლენინგრადი, 29 იანვარი. გორკის სახელობის ლენინგრადის ქაღალდის ფაბრიკის სტახანოველებმა ალექსი მაქსიმეს-ძისაგან მიიღეს შემდეგი წერილი:

„გულწრფელად გამახარა თქვენ შრომის წარმატებებმა, გისურვებთ პარტიის და მთავრობის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებას, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ შესძლებთ ამას.

როდესაც მუშათა კლასი თვითონ და მთლიანად არის თავისი ქვეყნის ერთადერთი პატრონი—მას ყველაფერი შეუძლია, როგორც ეს დაამტკიცა მისი 18 წლის შრომის საუცხოვო შედეგებმა და როგორც ამას ამტკიცებს ის სისწრაფე, რომლითაც სტახანოველები ტექნიკას ეუფლებიან. 1917 წელს მუშათა მასას რომ არ შეეგნო ლენინის სიმართლე, ბოლშევიკების სიმართლე, ჩვენი უმდიდრესი ქვეყანა ევროპის კაპიტალისტების ხარბ ბრჭყალებში მოხვდებოდა და ისინი ტყავს გააძრობდნენ მას, როგორც აძრობენ ჩინეთს, აფრიკას, ინდოეთს. პროლეტარიატმა იხსნა რუსეთი მონური ბედისაგან, იმ ბედისაგან, რომელიც მას ემუქრებოდა მისი ბურჟუაზიის — მეფის-[illegible], ხარბი მსუნაგებისა და მუქთახორების კლასის უპასუხისმგებლო ბატონობის წყალობით. პროლეტარიატმა გაათავისუფლა გლეხობა კატორღული მუშაობისაგან გამოფიტული, დაუძლურებული მიწის ლატაკურ ნაკვეთებზე, გაათავისუფლა კულაკებისაგან. აი პროლეტარების, ლენინის მოწაფეების, ორი გმირობა. ამ გმირობის მსგავსი არ მოიპოვება კაცობრიობის მთელ ისტორიაში. პროლეტარიატი შეურიგებელ მტრებსაც კი აკვირვებს სოციალისტური საზოგადოების აშენებისადმი მიმართული თავისი შრომის უდიდესი გაქანებით და წარმატებათა გრანდიოზულობით. აკვირვებს და აშინებს. არასოდეს და არსად მსოფლიოში არ ყოფილა „ხელისუფლების და ხალხის ისეთი გულწრფელი და მჭიდრო ერთიანობა", როგორც დამყარდა პროლეტარიატის სახელმწიფოში. და არასოდეს ადამიანებს არ უცხოვრიათ ისე, რომ მათი ცხოვრების თითქმის ყოველმა დღემ მათ არუქოს გონების ახალ-ახალი მონაპოვარი.

ამას იმიტომ მოგაგონებთ, რომ გამოვთქვა ჩემი გულწრფელი, ურყევი რწმენა: საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა უკვე იმდენი გააკეთა, რომ ძალიან მალე შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, რაც კი საჭიროა იმისთვის, რომ გამაგრდეს თავის მიწაზე, როგორც უძლეველი ძალა, რომელიც წინ მიუძღვის მშრომელთა მთელს სამყაროს თავისუფლებისაკენ, სიმართლისაკენ, ახალი სოციალისტური ცხოვრების სიხარულისაკენ.

სალამი, ამხანაგებო!

მ. გორკი".

ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაციის მიღება

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიერ კრემლში

მოსკოვი, 29 იანვარი. 27 იანვარს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა კრემლში მიიღეს ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკის მშრომელები.

საღამოს 7 საათზე დარბაზში თავი მოიყარა 67 დელეგატმა საკ. კ.პ. (ბ) ბურიატ-მონღოლეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ერბანოვისა და ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. დორჟიევის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან: კოლმეურნე მწყემსები, ჩაბანები, მეცხოველეობის ფერმათა გამგეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, კულტურის, ხელოვნების მუშაკები, პარტიულ-საბჭოთა მუშაკები. ბევრ დელეგატს აცვია ფერად-ფერადი ლამაზი ნაციონალური კოსტიუმი.

ამხანაგების **სტალინის**, მოლოტოვის, კალინინის, ვოროშილოვის, ორჯონიკიძის, მიქოიანის, ანდრეევის, იაკოვლევის გამოჩენა დარბაზში მქუხარე და ხანგრძლივ ოვაციას იწვევს. გაისმის შეძახილები ბურიატ-მონღოლურ და რუსულ ენებზე „ვაშა", „გაუმარჯოს ხალხთა ბელადს დიდ სტალინს"! „გაუმარჯოს ამხანაგ მოლოტოვს!" „გაუმარჯოს ამხანაგ ვოროშილოვს!" და ისევ ტაშის გრიალი, „ვაშა" და მისასალმებელი შეძახილები.

დელეგატებს მიესალმა ამხ. მოლოტოვი, რომელმაც პირველი სიტყვა მისცა ულან-ონონის აიმაკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ბატოჟარგალ ბადმაევს.

თავის სიტყვას, რომელიც ბადმაევმა ბურიატ-მონღოლურ ენაზე წარმოსთქვა და შემდეგ რუსულად სთარგმნეს, ხშირად აწყვეტინებდნენ ტაშით. ამხ. ბადმაევი ლაპარაკობს თავისი კოლმეურნეობის უდიდეს მიღწევებზე, იმაზე, თუ რა ძირითად შეიცვალა ბურიატ-მონღოლეთის გლეხთა წინანდელი შავბნელი, ლატაკი ცხოვრება, რა შეძლებულად და მხიარულად ცხოვრობენ ისინი ახლა კოლმეურნეობაში.

ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს,—ამბობს ბადმაევი. და გუშინდელი მომთაბარის ამ ფრაზაში გაისმის აღორძინებული ხალხის, აყვავების გზაზე დამდგარი საბჭოთა რესპუბლიკის სიამაყე.

ამხ. ბადმაევის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს შემდეგმა ამხანაგებმა: ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგემ დუგარ კონდაკის-ძე გაშუნოვმა, რაზუმოვის სახელობის კოლმეურნეობის მწველელმა ქალმა მარიამ ივანეს ასულმა არეფტოვამ, ბორგოისკის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ნიკიტა ივანეს-ძე შუბინმა, ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის მსმენელმა, უფროსმა ლეიტენანტმა ილია ვასილის-ძე ბალდინოვმა, კოლმეურნეობის „ულან-უდუნგას" მწველელმა ქალმა ორგოლმა ერდინიევამ, კოლმეურნეობის „ილიჩის ანდერძის" მწველელმა ქალმა აგაფია გრიგოლის ასულმა მისნიკოვამ, კოლმეურნეობის „წითელი ნიშნის" მეცხენეობის ფერმის გამგემ ალექსანდრე ანდრიას-ძე ატენოვმა, ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხენეობის ფერმის გამგემ ბაბუ ბოლოტოვმა, მწერალმა ხოცა ნამსარაევმა და მიხეილ ნიკოლოზის-ძე ერბანოვმა.

ყველა ორატორის სიტყვა გამსჭვალულია უდიდესი მადლობით პარტიისა და მთავრობისადმი, ამხანაგ სტალინისადმი.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს დელეგატები მოუთხრობდნენ საბჭოთა ბურიატ-მონღოლეთის მეურნეობის აღმავლობის, კულტურის და შეძლებულობის ზრდას.

კოლმეურნემ დუგარ კონდაკის-ძე გაშუნოვმა განაცხადა, რომ ტუნკინის აიმაკის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმამ ცხვრების სულადობა 4 წლის განმავლობაში ერთიასამად გაადიდა (425-დან 1.305 სულამდე). ამავე დროს კოლმეურნე გაშუნოვს პირად სარგებლობაში ჰყავს 54 სული სხვადასხვა პირუტყვი. ამ კოლმეურნეობაში უკვე აღარ არიან ერთძროხიანი მეურნეობანი. თითოეულ საკოლმეურნეო კომლს ჰყავს ორ-ორი და კიდევ მეტი ძროხა. ამაზე სხვა დელეგატებიც ლაპარაკობდნენ.

— კოლმეურნეობაში რომ შევედი,—ამბობს ხნიერი კოლმეურნე ქალი მარიამ ივანეს ასული არეფტოვა,—მე მყავდა 2 ძროხა, ახლა კი მყავს 6 ძროხა, ამავე დროს სწრაფად იზრდება სულადობა კოლმეურნეობაშიაც. ძველ დროს ჩვენ პირუტყვზე იაფად გვთვლიდნენ, ახლა კი მშრომელი ადამიანი, რა ეროვნებისაც უნდა იყოს იგი,—ყველაზე ძვირფასი კაპიტალია.

— ჩვენს კოლმეურნეობაში,—ამბობს ამხ. ბაბუ ბოლოტოვი,—ყოველ კომლზე მოდის 55 სული პირუტყვი, ხოლო ყოველ სულზე—11 პირუტყვი.

— გვითხარით —ცუდად ცხოვრობთ თუ კარგად?—ეკითხება ამხანაგი **სტალინი** კოლმეურნეობის „ილიჩის ანდერძის" მწველელ ქალს მისნიკოვას.

— კარგად ვცხოვრობთ,—მხიარულად უპასუხებს მისნიკოვა. წინათ ჩვენ გვყავდა ცუდი ძროხები, ისინი ცოტას იწველიდნენ, ხოლო ახლა წელიწადში ერთ ძროხაზე 2.600 ლიტრ რძეს ვღებულობ. მე შვიდი შვილი მყავს, ყველა სწავლობს, ყველა იმაზე ოცნებობს, რომ განათლებული კაცი გახდეს და ვფიქრობ, რომ ისინი თავიანთ საწადელს მიაღწევენ, მე კი წინათ მოჯამაგირე ვიყავი.

— მადლობას გიძღვნით,—მიმართავს ამხ. მისნიკოვა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს,—ნება მომეცით ხელი ჩამოგართვათ ჩემი დაკოჟრებული ხელით.

ამხ. მისნიკოვა ხელს ართმევს ამხანაგ **სტალინს**, მოლოტოვს, ვოროშილოვს, კალინინს და პრეზიდიუმის ყველა წევრს; გრიალებს ტაში და გაისმის შეძახილები „ვაშა", „გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს!**"

დიდი ყურადღებით და გულთბილად მოისმინეს დამსწრეებმა ამხ. ბალდინოვის სიტყვა. ახალგაზრდა მეთაური ამხ. ბალდინოვი, რომლის მკერდსაც საბრძოლო წითელი დროშის ორდენი ამშვენებს, ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის თავდაცვაზე, ბურიატ-მონღოლეთის იმ წითელდროშოვანი ცხენოსანი ლეგიონის სწავლებისა და მომზადებაზე, რომლის შტაბის უფროსიც იგი იყო. ახლა ამხ. ბალდინოვი ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის მსმენელია. მარტო ბალდინოვი კი არა, ორმოცდაათზე მეტი ბურიატ-მონღოლი მეთაური სწავლობს ახლა საბჭოთა კავშირის სამხედრო აკადემიებში.

— 1929 წელს,—ამბობს ამხ. ბალდინოვი,—ჩინეთის გენერლებთან შეტაკების დროს მე გუნდის მეთაური ვიყავი. ჩემი გუნდის მეომრებმა გმირული მოქმედებისათვის ორი ორდენი მიიღეს. მას შემდეგ ჩვენ კიდევ ბევრი რამ ვისწავლეთ და მზადა ვართ, ისე როგორც მთელი ბურიატ-მონღოლეთის ხალხი, ვიბრძოლოთ ჩვენი მშვენიერი სამშობლოსათვის, საბჭოთა კავშირისათვის—მტერზე სრული გამარჯვების მოპოვებამდე.

მწერალმა ხოცა ნამსარაევმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ იზრდება საბჭოთა ბურიატ-მონღოლეთში ნაციონალური ლიტერატურა და ხელოვნება. ახლა ბურიატულ ლიტერატურაში არის ყოველგვარი ჟანრი, ყოველგვარი ფორმა—ლექსიდან რომანამდე და პიესამდე. გადათარგმნილია და ითარგმნება ბურიატ-მონღოლურ ენაზე რუსული კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებები. დასასრულ ამხ. ნამსარაევმა წაიკითხა თავისი ლექსი, მიძღვნილი ამხანაგ სტალინისადმი.

საკ. კ.პ. (ბ) ბურიატ-მონღოლეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ერბანოვმა თავის ვრცელ შინაარსიან სიტყვაში მოიყვანა მკაფიო ფაქტები, თუ როგორ სძარცვავდნენ და დასცინოდნენ მეფის რეჟიმის დროს ბურიატ-მონღოლეთის ხალხს, დაასახელა უაღრესად მკაფიო ფაქტები, თუ როგორ იზრდება და ჰყვავის განთავისუფლებული ხალხი საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ძმურ ოჯახში.

დასასრულ, სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ვ. მ. მოლოტოვმა**, რომელსაც დარბაზი მქუხარე ოვაციით და „ვაშას" ძახილით შეხვდა. თავისი სიტყვის პირველი და უკანასკნელი ფრაზები ამხანაგმა მოლოტოვმა ბურიატ-მონღოლურ ენაზე სთქვა.

ამხანაგმა მოლოტოვმა განაცხადა, რომ ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით, თათბირის პრეზიდიუმს სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმში შეაქვს წინადადება—ბურიატ-მონღოლეთის საუკეთესო ადამიანები დაჯილდოებულ იქნან საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი—ორდენებით. მან აგრეთვე განაცხადა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა სატვირთო ავტომანქანებით დააჯილდოვოს თათბირზე წარმოდგენილი კოლმეურნეობანი.

ამხანაგ მოლოტოვის სიტყვის პასუხად გრიალებს მხურვალე ხანგრძლივი ოვაცია ამხანაგების **სტალინის**, მოლოტოვის, კალინინის, ვოროშილოვის პატივსაცემად.

თვითეულ დელეგატს ამხანაგებმა **სტალინმა**, მოლოტოვმა, ვოროშილოვმა და კალინინმა გადასცეს მთავრობის საჩუქრები: საათები და პატეფონები ფირფიტებით.

ბურიატ-მონღოლი ხალხის სახელით დელეგატებმა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს უძღვნეს ნაციონალური ხალათები, ჩიბუხები, ხანჯლები.

ერთერთი დელეგატის ექვსი წლის გოგონამ გელია მარკიზოვამ, რომელიც მიღებას დაესწრო, სხდომის დროს ამხანაგ **სტალინს** უძღვნა ცოცხალი ყვავილების თაიგული.

ამხ. მიხეი ნიკოლოზის-ძე ერბანოვის სიტყვა

საკ. კ. პ. (ბ) ბურიატ-მონღოლეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

(ლაპარაკობს რუსულად, ხოლო შემდეგ სთარგმნის ბურიატ-მონღოლურ ენაზე)

ამხანაგებო, აქ გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ მათი გული აღსავსეა სიხარულითა და ბედნიერებით, ვინაიდან მათ წილად ხვდათ დიდი პატივი—ყოფილიყვნენ ჩვენი სახელოვანი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან და დიდ ბელადთან და მასწავლებელ ამხანაგ **სტალინთან (ტაში, „ვაშას" ძახილი).**

ეს ღრმაგრძნობიარე სიტყვები გამოხატავენ არა მარტო აქ მყოფი ბურიატ-მონღოლების, არამედ ბურიატ-მონღოლთა მთელი მშრომელი მასების ნამდვილ სულისკვეთებას და მართლაც, განა ცარიზმის მიერ ჩაგრულ ბურიატ-მონღოლთა მასებს ოდესმე შეეძლოთ ოცნება ასეთ რამეზე?

ბურიატ-მონღოლეთი 300 წლის განმავლობაში იმყოფებოდა ცარიზმის უღელ ქვეშ, და მხოლოდ ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ, ჩვენმა სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ, დიდი ლენინისა და სტალინის მეთაურობით, გაათავისუფლა ბურიატ-მონღოლეთი საუკუნოებრივი ჩაგვრისაგან და საშუალება მისცა შეექმნა თავისი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა **(ტაში)**.

ბურიატ-მონღოლი ხალხის ისტორია სავსეა კოშმარული, სისხლით დაწერილი ფურცლებით. ჩვენ გვაქვს მრავალი ფაქტი, როცა ბურიატ-მონღოლები თავიანთ წარმომადგენლებს გზავნიდნენ მეფის მოხელეებთან, გენერლებთან და თვით მეფესთანაც კი, რომ სიმართლე და მფარველობა ეპოვნათ. ამისათვის აგროვებდნენ დიდძალ სახალხო ფულს, სწერდნენ თხოვნებს. მაგრამ ყველა ეს თხოვნა უპასუხოდ რჩებოდა.

თუმცაღა, იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ბურიატ-მონღოლთა დელეგაცია „პატივის" ღირსი გახდა და პასუხი მიიღო. 1904 წელს ჩიტაზე გავლით შორეულ-აღმოსავლეთში მიემგზავრებოდა მეფის სამხედრო მინისტრი კუროპატკინი. ბურიატ-მონღოლებმა მასთან გაგზავნეს თავიანთი დელეგაცია საჩივრით ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენელთა თვითნებობაზე. მინისტრმა კუროპატკინმა „პატივი" დასდო დელეგაციას, მიიღო იგი და საჩივრის პასუხად შემდეგი განუცხადა:

„მხედველობაში გქონდეთ, რომ თუ თქვენი ხალხი თავს რიგიანად არ დაიჭერს, პასუხს თქვენ აგებთ. ხოლო უკეთუ თქვენი ხალხი გაბედავს, რისგანაც ღმერთმა დაგიფაროთ, რომ რაიმე თვითნებობა ჩაიდინოს, წინააღუდგეს ხელმწიფის ბრძანებას, მაშინ იცოდეთ, რომ თვალის დახამხამებაზე აღგვილი იქნებით პირისაგან მიწისა, თქვენი ნატამალიც კი აღარ დარჩება. აი შეხედეთ, რამდენია აქ რუსის ჯარი, მათი მოყვანა კიდევ ასი ათასობით შეიძლება, თქვენ თვალის დახამხამებაზე გაგსრესენ და მოგსპობენ. თქვენ არაფერს არ უნდა მოითხოვდეთ, შეგიძლიათ მხოლოდ მოწყალება ითხოვოთ".

ასეთი იყო მეფის გენერლის პასუხი ბურიატ-მონღოლი ხალხის თხოვნაზე.

მაგრამ ეს ახალი ამბავი როდი იყო ბურიატ-მონღოლი ხალხისათვის. ჯერ კიდევ 1674 წელს მეფის ვოევოდაც ემუქრებოდა ბურიატ-მონღოლ ხალხს აღგვას პირისაგან მიწისა. ვოევოდის ბრძანებაში ნათქვამი იყო:

გამოიგზავნოს ულუსებში დიდძალი ხალხი ცეცხლითა და მახვილით; ულუსები, თქვენი ცოლები და შვილები და არა მარტო ისინი, არამედ მთელი თქვენი პირუტყვიც მან უნდა მოსპოს, ოჯახები თქვენი გაანადგუროს და ცეცხლს მისცეს; დაუნდობლად უნდა გაუსწორდეს იგი ყველას, ტყვედ არავინ წამოიყვანოს და არც არავინ გამოისყიდოს —ხოლო ვისაც წამოიყვანენ, ისინი—თქვენი ძმები—უნდა ჩამოახრჩონ და სიკვდილით დასაჯონ".

„ეს იყო მინისტრ კუროპატკინის განცხადებამდე 230 წლით ადრე. საკითხავია, რა განსხვავებაა ამ ვოევოდასა და კუროპატკინს შორის? არაფერი.

კუროპატკინის დროს მდგომარეობა მხოლოდ კიდევ უფრო გართულდა. ეს კუროპატკინის პასუხიდან სჩანს.

ვოროშილოვი. კუროპატკინი მხოლოდ უფრო გარკვეულად გამოსთქვამდა აზრებს (სიცილი).

ერბანოვი. სავსებით მართალია. ვოევოდა მხოლოდ სლავურად სწერდა. ეს დოკუმენტები ცოტად თუ ბევრად შორეულ წარსულს ეკუთვნის.

სტალინი. სახელდობრ ვინ უპასუხა 200 წლის წინათ?

ერბანოვი. ამას სწერდა ენისეისკის ციხის ვოევოდა.

სტალინი: მაშინ ისპრავნიკისავით?

ერბანოვი: მაშინ არ იყო ისპრავნიკთა ინსტიტუტი, ის ვოევოდა იყო.

ვოროშილოვი: მხოლოდ შემდეგ ვოევოდები ისპრავნიკებად იქცნენ (სიცილი).

ერბანოვი: ჩვენ უფრო გვიანდელი დოკუმენტიც გვაქვს. 1919 წელს ბურიატ-მონღოლეთის სახალხო სათათბირომ, რომელსაც ბურიატ-მონღოლეთის ნაციონალისტური ინტელიგენცია მეთაურობდა, მიმართა კოლჩაკს: დაემტკიცებინა თვითმმართველობის ეროვნული ორგანოები—აიმაკები, რომლებიც ადგილობრივ შეიქმნენ. ამ თხოვნას ფრიად მოკლე პასუხი გასცეს. კოლჩაკის შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი რეზოლუცია დააწერა: „მაგათ გაუქმება მოუხდებათ". მაშინ მარტო გაუქმებას არ დასჯერდნენ, ასობით ოჯახი და ათასობით ხალხი დახვრიტეს.

მოლოტოვი ამხანაგო ერბანოვ, მეფის მოხელეთა ეს პასუხები ბურიატ მონღოლეთის მასებში ფართოდ იყო ცნობილი?

ერბანოვი: მხოლოდ უკანასკნელ ხანს დავიწყეთ ზოგი დოკუმენტის გამოქვეყნება, ფართო მასებმა ჯერ არ იციან.

მოლოტოვი: რევოლუციამდე როგორღა იყო?

ერბანოვი: [illegible] არ იცოდნენ.

მოლოტოვი: მაშასადამე, ამ ვაჟბატონთა პრაქტიკა კარგად ყოფილა ცნობილი მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხის მასებმა კარგად ვერ იცოდნენ, თუ სადამდე მიდიოდნენ მეფის მტარვალები.

ერბანოვი. სრული სიმართლეა. აი დგება 1920 წელი. ჩვენი სახელოვანი წითელი არმია ათავისუფლებს ციმბირს, კოლჩაკოვშჩინისა, სემიონოვშჩინისა და იაპონიის ინტერვენციისაგან. ახალი ისტორიული პერიოდი იწყება ბურიატ-მონღოლეთის ხალხისათვის, პერიოდი თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრებისა. ბურიატ-მონღოლეთის ხალხის წინაშე დგება საკითხი ნაციონალური ადმინისტრაციული ერთეულის შექმნისა ავტონომიური ოლქის სახით. მახსოვს ის ბედნიერი ისტორიული მომენტი, როდესაც 1920 წლის დეკემბერს მივედით მოსკოვს ამხანაგ **სტალინთან** ბურიატ-მონღოლეთის ავტონომიური ოლქის შექმნის საკითხის შესახებ ამხანაგმა **სტალინმა** მეტად გულთბილად მიგვიღო **(ტაში, ოვაცია შეძახილი „ვაშა"!).** მე მოვახსენე ამხანაგ **სტალინს** ბურიატ-მონღოლეთის ხალხის იმედები და ზრახვები მათი ნაციონალური ავტონომიური ოლქის შექმნის შესაძლებლობის შესახებ. იმავე დროს მე ვაცნობე, რომ ადგილობრივ კომიტეტებში იყო ავტონომიის საწინააღმდეგო განწყობილება. მათი აზრით, ვითომც აუცილებელი იყო ბურიატ-მონღოლთა ასიმილაცია: ბურიატ-მონღოლებს არა აქვთ ერთიანი ტერიტორია, ბურიატ-მონღოლები მეტად უკულტურო ხალხია და ვერ შეძლებენ თავისი ავტონომიის გაძღოლას.

ეს რომ ამხანაგ **სტალინს** ვუთხარი, მან ძალიან მკაცრად გაკიცხა ეს განწყობილება და სთქვა: ყველაფერი ეგ სისულელეა, ყოველივე ეგ მეფის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგია, კლასობრივი მტრების ხრიკებია. მუშათა კლასმა საბჭოთა ხელისუფლება მოიპოვა, ამბობდა ამხანაგი **სტალინი**, სწორედ იმისათვის, რომ რუსეთის ყველა ხალხს მიენიჭოს თავისუფლება და მისცეს შესაძლებლობა თავიანთი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების შექმნისა. ამხანაგმა **სტალინმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ ამ პირობით დაიწყება ყველა ხალხის ჭეშმარიტად კულტურული და სამეურნეო აღმავლობა **(ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს, ვაშა"!).**

ამხანაგი **სტალინის** ეს ისტორიული მითითება ჩვენ მთლიანად განვახორციელეთ ადგილებზე და 1921 წელს დაარსდა ბურიატ-მონღოლეთის ავტონომიური ოლქი რსფსრ-ის ტერიტორიაზე.

1922 წელს რომ შორეული-აღმოსავლეთის რესპუბლიკა გაუქმდა და დაისვა საკითხი ორი ავტონომიური ოლქის შექმნისა, ეს საკითხიც ამხანაგი **სტალინის** წინაშე იქნა დასმული. ამხანაგმა **სტალინმა** კვლავ კატეგორიული დირექტივა გასცა ავტონომიური ოლქების გაერთიანების აუცილებლობის შესახებ, უკვე ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ. 1922 წლის ივლისის დამლევს მოვიდა ამხანაგი **სტალინის** ისტორიული დეპეშა, რომ ორი ავტონომიური ოლქი ერთიანდება (მაშინ შორეულ-აღმოსავლეთის მხარეში მეორე ავტონომიური ოლქი იყო), რომ ჩვენ გვეძლევა ბაიკალის გუბერნია და პირველი ავგუსტიდან სრული ძალაუფლება ბურიატ-მონღოლეთის რევკომის ხელში გადადის.

ამ ისტორიული მომენტიდან ვანგარიშობთ ჩვენი რესპუბლიკის დაარსებას. ამ დროიდან მხოლოდ ცამეტი წელი გავიდა. ამ მოკლე პერიოდის განმავლობაში ბურიატ-მონღოლეთმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგი **სტალინის** [illegible] ყოველდღიური ყურადღებითა და დახმარებით, **(ტაში, ოვაცია ამხანაგ სტალინს. შეძახილები „ვაშა"!).**

ბურიატ-მონღოლეთი სავსებით გარდაიქმნა. თუ წინათ ცარიზმის მიერ დაპყრობილ-დამონებულ ბურიატ-მონღოლთა დელეგაცია მიდიოდა მოსკოვს საჩივრითა და არზებით მძიმე ცხოვრების შესახებ, ადგილობრივ ხელისუფალთა თვითნებობის შესახებ, ახლა ჩვენ, ოქტომბრის რევოლუციის მიერ განთავისუფლებული ბურიატ-მონღოლეთის ხალხის წარმომადგენლები ჩამოვედით არა არზებითა და საჩივრებით, არამედ იმისათვის, რომ გიამბოთ ჩვენი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება; ჩვენ ჩამოვიტანეთ წერილი და პატაკი ჩვენს დიდ მასწავლებელსა და ბელადს ამხანაგ **სტალინს (ტაში. შეძახილი: „ვაშა ამხანაგ სტალინს"!).**

იზრდება ჩვენი მეურნეობა და კულტურა. კოლმეურნეობაში გაერთიანებულია გლეხური მეურნეობათა 82 პროცენტი, დაარსებულია 28 მტს-ი, რომელთაც აქვთ ათასერთეულიანი სატრაქტორო პარკი. სოციალისტურ სექტორზე მოდის სათესი ფართობის 93.5 პროცენტი, და პირუტყვის სულადობის 92 პროც. თვალსაჩინო მიღწევები არის მემინდვრეობის განვითარებაში. აქ არ მოვიყვან დაწვრილებით ცნობებს, ეს ყველამ იცის. ვიტყვი მხოლოდ, ჩვენი საუკეთესო კოლმეურნეები გახდნენ იმის ღირსი, რომ დასწრებოდნენ სტახანოველი ტრაქტორისტების საკავშირო თათბირს და მთავრობისაგან მიეღოთ უმაღლესი ჯილდო „საპატიო ნიშანი", ასეთია ხუთი კაცი: ბ. გ. ბანზაროვი, ნ. მ. ივანოვი, ა. ფ. ივანოვი. ე. ლ. პეტროვი, და ს. ა. ანტონოვი.

ჩვენი ძირითადი მეურნეობა, როგორც ცნობილია, მეცხოველეობა არის. 1934 წლიდან მოყოლებული ის დიდ აღმავლობას განიცდის. სტალინური ახალი წესდების თანახმად რესპუბლიკის აღმოსავლეთ აიმაკებში მეცხოველეობის „ხოთონები" ამხანაგ **სტალინის** მითითებით მიკუთვნებულია პირუტყვის მიხედვით [illegible]. აქ შეიძლება იყოლიონ პირად სარგებლობაში 10 ცხენი, 8-10 სული ძროხა, 100-150 სული ცხვარი და თხა. ჩვენს ცალკეულ კოლმეურნეებს, როგორც აქ ამხანაგებმა აღნიშნეს, სამოცდაათ სულამდე სხვადასხვა პირუტყვი ჰყავთ.

ჩვენი კოლმეურნეები სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალ სტალინურ წესდებას „ოქროს წესდებას" ეძახიან. ეს ასეც არის, ვინაიდან სტალინური წესდება კოლმეურნეების ცხოვრებას სასიხარულოს, კულტურულსა და უხვ-მდიდარს ხდის (ტაში).

მეცხოველეობის აღმავლობის საქმისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს 1934 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებას, რომელიც ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით იყო მიღებული და ეხება ბურიატ-მონღოლეთის აღმოსავლეთ აიმაკებისათვის მიცემულ შეღავათებსა და მათს განთავისუფლებას მარცვლეულისა, რძისა, ხორცისა და მატყლის ჩაბარებისაგან.

უკანასკნელი 1934 და 1935 წლები ჩვენი მეცხოველეობის ზრდის თვალსაზრისით გარდატეხის წლები იყო. იმ ყურადღებისა და დახმარების წყალობით, რაზედაც მე უკვე ზემოთ ვილაპარაკე, 1934 წელს პირუტყვის სულადობის ზრდა ასე გამოიხატა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი—12,1 პროც., ცხვარი და თხა—24,5 პროც., ღორი—62,3 პროც. ცხენი კი ჯერჯერობით შემცირებული იყო 1,5 პროც. თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენს მიერ შორეულ-აღმოსავლეთის მხარეში და საერთოდ ჩვენი რესპუბლიკის გარეთ გაყიდული ცხენების რაოდენობას, მაშინ შემცირება აღარ იქნებოდა.

იანვრის აღწერის წინასწარი ცნობების მიხედვით, მეცხოველეობის განვითარების გეგმა 1935 წელს შემდეგნაირად არის შესრულებული: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 104,4 პროც., ცხვარი და თხა — 117,1 პროც. ეს არის ჩვენი პირუტყვის ორი ძირითადი გადამწყვეტი სახეობა.

1935 წელს, 1934 წელთან შედარებით, ცხენის სულადობა გაიზარდა 3,5 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—17,5 პროცენტით, ცხვრის 25 პროცენტით, თხისა 33,5 პროცენტით და ღორისა 27 პროცენტით.

განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები გვაქვს განსაზოგადოებულ ჯოგის მოზარდი პირუტყვის გამოზრდაში. აქ სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული: ხბოს გეგმა შესრულებულია 118 პროც., ბატკნისა და თიკნის—159 პროც., გოჭისა—120 პროც., კვიცისა—104 პროც., ამას მეტად დიდ ფაქტორად ვთვლით, ვინაიდან სწორედ მოზარდი პირუტყვის შენარჩუნება და გამოზრდა ქმნის სულადობის შემდგომი სწრაფი ზრდის რეალურ ბაზას.

დამახასიათებელი მოვლენა არის მეცხოველეობის დიდი კოლმეურნეობების არსებობა, რომელთაც ჰყავთ ხუთი ათასიდან 12-13 ათას სულამდე პირუტყვი, თუმცა მართალია, რომ აქ ცხვარი და თხა სჭარბობს. მაგალითად, აგინის აიმაკის 37 კოლმეურნეობაში 14 კოლმეურნეობა ისეთია, რომელსაც 5 ათასიდან 12.500 სულ პირუტყვამდე ჰყავს. ამავე აიმაკის ვოროშილოვის სახელობის არტელს ჰყავს განსაზოგადოებული ჯოგი 10.084 სული. ამათში ცხენი—1.041, მსხვილფეხა პირუტყვი 1.701, ცხვარი და თხა—7.033, აქლემი 297, აქვს ნათესი 406 ჰექტარი და 230 მეურნეობა. მარკიზოვის სახელობის არტელს ჰყავს 11 ათასი სული, ამათში ცხენი 1442, მსხვილფეხა პირუტყვი — 2567, ცხვარი და თხა—6.337, აქვს ნათესი 450 ჰექტარი და 200 მეურნეობა. ხილენგინის აიმაკის სტალინის სახელობის არტელს ჰყავს 8600 სული, ამათში ცხენი—423, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი—3169, ცხვარი და თხა—4853 სული, ნათესი — 1800 ჰექტარი და 220 მეურნეობა.

ჩვენ გადავწყვიტეთ მეცხოველეობის მეურნეობის ძირითადი პრობლემა. ეს პრობლემა გახლავთ მომთაბარეობის შეცვლა ბინადარობით. ჩვენ გვგონია, რომ ძირითადად მეცხოველეობის ყველა ჩვენი მეურნეობა უკვე მტკიცე ბინადარი გახდა. ახლა წინანდელ მომთაბარე ცხოვრებას აღარ ვამჩნევთ. წინანდელ [illegible]

ვოროშილოვი: [illegible] კომუნაა?

ერბანოვი: [illegible] არტელი.

დასასრული მე-2 გვერდზე

საქართველოს

ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაციის მიღება

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიერ კრემლში

ამხ. მიხეი ერბანოვის სიტყვის დასასრული

ეს კოლმეურნეობა თქვენს შეხვედრს, ამხანაგო ვოროშილოვ, [illegible] სავსებით კოლმეურნეობის ტერიტორიები ძირფესვიანად შეიცვალა.

კოლმეურნეობას აქვს საკუთარი საშუალო სკოლა—ათწლედი, საექიმო ამბულატორია, ორთქლის წისქვილი, ყველის ქარხანა, საკოლმეურნეო საბავშვო სანატორიუმი, საბავშვო ბაგა და სამშობიარო სახლი.

სტალინი. სკოლა—ათწლედი აქვს?

ერბანოვი: დიახ, ათწლედი.

სტალინი: რა ენაზე ასწავლიან იქ?

ერბანოვი: მეოთხე კლასამდე დედაენაზე ასწავლიან, ბურიატ-მონღოლურ ენაზე. რუსულ ენას იწყებენ მეორე კლასიდან, ხოლო მეხუთე კლასიდან სწავლება რუსულ ენაზეა. ბურიატ-მონღოლური ენა ისწავლება, როგორც ცალკე საგანი. და ეს იმიტომ, რომ ჯერჯერობით ძნელია სწავლების მოგვარება დედაენაზე.

სტალინი: ბურიატ - მონღოლი მასწავლებელნი არიან?

ერბანოვი: ამ ათწლედში ყველა ბურიატი მონღოლია.

თუ თქვენ ახლა ჩვენს ვრცელ ველებზე გაივლით, ნახავთ, რომ სადაც წინათ ცარიელი ადგილი იყო, აშენებულია ახალი საკოლმეურნეო სახლები, სკოლები, საავადმყოფოები ფერმები და სხვ. ერთი სიტყვით, ნახავთ ახალ დასახლებულ პუნქტს, რასაც მე ზევით საკოლმეურნეო ულუსი დავარქვი. ბურიატ-მონღოლური წინანდელი „ცენტრები“ — დაცანები მრავალ ადგილას გადაქცეულია კულტურულ ცენტრებად, სკოლებად, კლუბებად, საავადმყოფოებად.

ვოროშილოვი: რამდენი დაცანი იყო წინათ?

ერბანოვი. რევოლუციამდე 44 დაცანი იყო, აქედან 6 ოფიციალურად დაიხურა, 12 დაცანი თვით დაიშალა, ე. ი. ლამები გაიქცნენ სხვა დაცანებში, დარჩა ოცდა ექვსი.

ვოროშილოვი: წინათ რამდენი ლამა იყო?

ერბანოვი რევოლუციამდე 14 ათასი კაცი იყო, ხუვარაკებთან — ლამების მოწაფეებთან ერთად. ახლა ყველა 26 დაცანში 900 კაცზე მეტი არ დარჩა, მათ შორის ახალგაზრდობა სრულიად არ მოიპოვება. 1925 წლიდან დაწყებული, მთელი ახალგაზრდობა მიდის საბჭოთა სკოლებში და არა დაცანებში. ეს უდიდესი გამარჯვებაა ლამაიზმზე.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ჩვენს სასოფლო-სამეურნეო არტელებზე. ხვედრითი წონის მიხედვით ისინი შეადგენენ 97,7 პროცენტს, ხოლო მიწის საერთო დამმუშავებელი ამხანაგობები—2,3 პროცენტს.

კოლმეურნეობის საარტელო ფორმა ჩვენს პირობებში—სავსებით განმტკიცებული ფორმაა. ვფიქრობთ, რომ კოლექტივიზაციის საქმეში არამცთუ მარტო რიცხობრივი, არამედ ხარისხობრივი მიღწევებიც გვაქვს იმ მხრივ, რომ ჩვენში სჭარბობს სასოფლო-სამეურნეო არტელის ფორმა და, რაც მთავარია, ეს სასოფლო-სამეურნეო არტელი, როგორც გამოცდილებამ, თვით ცხოვრებამ დაგვანახვა, სავსებით განმტკიცდნენ—ამ თვალსაზრისს იზიარებს პარტიის საოლქო კომიტეტი, კერძოდ ამხ. რაზუმოვი.

ბურიატ-მონღოლეთის ულუსებთან ერთად სახე იცვალეს სტაროობრიადცების „ოჯახური“ სოფლებმაც. მაგალითისათვის ავილოთ სოფელი დიდი კუნალეი. 4 კილომეტრის მანძილზე გაჭიმულია ქუჩა, რომლის ორივე მხარეზე გაყვანილია სწორი მაღალი ტროტუარები. ქუჩა მოკირწყლულია. ამ ქუჩაზე ერთიმეორეს მიჰყვებიან კოლმეურნე ველოსიპედისტები, კუნალეიში დაახლოებით 200 ველოსიპედია. ელექტრონის შუქი უხვად ანათებს კოლმეურნეთა სახლებს და სოციალისტური კულტურის მაღალ სახლს, მუშაობს საკუთარი საკოლმეურნეო ელექტროსადგური.

იზრდება მოთხოვნილება ყველაზე ძვირფას და საუკეთესო საქონელზე, იზრდება კულტურისაკენ მისწრაფება. ფილმ „ჩაპაევს“ მთელი თვეობით უჩვენებენ საკოლმეურნეო ეკრანებზე.

ახლა ჩვენში ძირფესვიანად შეიცვალა ბურიატ-მონღოლური ულუსის და „ოჯახური“ სოფლის სახე.

იქ, სადაც წინათ მრისხანე ქარი და შუურგანი (ქარბუქი) მძვინვარებდა, იქ, სადაც მხოლოდ ლამებისა და შამანების შელოცვა გაისმოდა — ახლა კომბაინები და ტრაქტორები გუგუნებენ, იქ ახლა ოქროსფერი ჰვავი ბიბინებს და მილიონიანი ჯოგები ბალახს სძოვენ.

ვოროშილოვი. დახე, დახე, ლექსად დაიწყო ლაპარაკი, (სჩანს, მართლაც საამურად ცხოვრობენ. (სიცილი).

ერბანოვი. გულახდილად უნდა აღვიარო, რომ ვცდილობდი აქ წაკითხული ლექსი რუსულ ენაზე გადმომეთარგმნა, ამ დროის დამცხადეს სახეებს, ახლა ბურიატ-მონღოლეთში ჭეშმარიტად საამური ცხოვრებაა. გვაქვს ჩვენი სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები, მუშფაკები, სოციალისტური კულტურის სახლები, კლუბები, თეატრები, მათ შორის ბურიატ-მონღოლეთის სახელმწიფო თეატრი, რადიოისადგურები, რადიოგადამცემები და სხვ.

სტალინი. ბურიატ-მონღოლი არტისტები გყავთ?

ერბანოვი. გვყავს. ამ მიღებას 6 კაცი ესწრება.

რევოლუციამდე ბურიატ-მონღოლეთს არ გააჩნდა არავითარი საავადმყოფოები, [illegible] და ამბულატორია. ახლა ჩვენ გვაქვს მრავალი საავადმყოფო, ამბულატორია და საფერშლო პუნქტები, ათასობით საბავშვო ბაგები, რამდენიმე კურორტი, სანატორიუმი და დასასვენებელი სახლები.

სტალინი. რა მდგომარეობაა თქვენში წერა-კითხვის ცოდნის მხრივ?

ერბანოვი. მოსახლეობის 70,2 პროცენტმა იცის წერა-კითხვა, ხოლო მამაკაცთა შორის წერა-კითხვის ცოდნის პროცენტი 85 აღწევს.

სტალინი. მაშასადამე, საერთო მაჩვენებელი 70,2 პროცენტს უდრის?

ერბანოვი. დიახ. მამაკაცთა შორის 85 პროცენტს.

სტალინი. ეს ურიგო არ არის.

ერბანოვი. რევოლუციამდე კი წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი სულ მთელ-მთელი 8 პროცენტი იქნებოდა.

ანდრეევი. რამდენია თქვენში ბურიატ-მონღოლური სკოლა?

ერბანოვი. ბურიატ - მონღოლური სკოლა 283-ია, მათ შორის დაწყებითი—244 და საშუალო—39.

ანდრეევი. წინათ რამდენი იყო?

ერბანოვი. წინათ ბურიატ-მონღოლური სკოლები სრულიად არ ყოფილა. ცარიზმი არ გვაძლევდა უფლებას, რომ გვქონოდა ნაციონალური სკოლები და გვესწავლა დედაენაზე. წინათ იყო რუსული საშუალო სკოლები, სასულიერო სასწავლებლები, სემინარიები და სხვ. დიდ საქალაქო ცენტრებში.

მოლოტოვი. მასწავლებელთა და ექიმთა საკუთარი კადრები იზრდება?

ერბანოვი. დიახ.

სტალინი. რამდენი გაზეთი გაქვთ ბურიატ-მონღოლურ ენაზე?

ერბანოვი. გვაქვს 16 რაიონული გაზეთი პარალელურად რუსულ და ბურიატ-მონღოლურ ენებზე, შემდეგ ცენტრში ბურიატ-მონღოლურ ენაზე გამოდის საოლქო გაზეთი „უნენ“.

სტალინი. შრიფტი როგორია?

ერბანოვი. შრიფტი გვაქვს როგორც ლათინიზებული ანბანით, ისე ძველი ბურიატ-მონღოლური ანბანით.

ვოროშილოვი. ხალხს ხომ არ უშლის ძველი ბურიატ-მონღოლური ანბანი ახალი ლათინიზებული ანბანის დანერგვას?

ერბანოვი. არა. ჩვენ მხოლოდ 1931 წელს დავიწყეთ ახალი ანბანის შემოღება და მხოლოდ 1933 წელს გამოვუშვით პირველი სახელმძღვანელოები, სკოლებში ახალ ანბანზე მთლიანად 1933-34 სასწავლო წლიდან გადავედით, ე. ი. ნამდვილი მუშაობა მხოლოდ ამ ორიოდე წლის წინათ დაიწყო.

ვოროშილოვი. ფეხს იკიდებს? ლათინური ანბანით წერა-კითხვის შესწავლა უფრო ადვილია.

ერბანოვი. გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ძველი მონღოლური ანბანით. ძველი მონღოლური ანბანით წინათ წერა-კითხვა იცოდნენ მხოლოდ ლამებმა, ნოიონებმა და კულაკებმა, ხოლო მშრომელი მასა ბნელი და წერაკითხვის უცოდინარი რჩებოდა.

უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში დიდად განვითარდა მრეწველობა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი მრეწველობა. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა დიდი საფქვავი კომბინატი, მექანიზებული შუშის ქარხანა, პურის ქარხანა. მთავრდება ხორცმაკონსერვებელი უდიდესი კომბინატის მშენებლობა. შენდება მექანიზებული ყველ-ერბო-კარაქის ქარხნები. ამასთან ერთად ვითარდება მძიმე მრეწველობაც. ასეთებია—„ბარგუზინზოლოტოს“ ოქროს საბადოები, ვოლფრამის კომბინატი ჯიდაში, რომელიც თავის საქმიანობით პირველია საბჭოთა კავშირში. იქ წელს უკვე მოგვცეს 500 ტონა ანტრაციტი. აქ არის ვოლფრამის უმდიდრესი საბადოები. ქალაქ ულან-უდეში მთავრდება ორთქლმავლებისა და ვაგონების სარემონტო ქარხნის მშენებლობა.

სტალინი. მზად მალე იქნება?

ერბანოვი. საბოლოოდ მზად იქნება 1937 წელს. იქ ახლა მუშაობს 2½ ათასი კაცი, აქედან 5.500 კაცი ამ ქარხნებშია, ხოლო დანარჩენები მშენებლობაზე მუშაობენ. წარმოიდგინეთ, სრულიად ცარიელ ადგილზე, სადაც წინათ ტყე იყო, ახლა უზარმაზარი კორპუსები წამოიჭიმა. მთელი რიგი საამქროები გადაცემულია საექსპლოატაციოდ. ამჟამად სრული ტემპით მიმდინარეობს ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტი. მიმდინარე წელს ამ ქარხანამ კაპიტალურად უნდა შეაკეთოს 300 ორთქლმავალი და რამდენიმე ათასი ვაგონი.

დიდი სტახანოვური მოძრაობა, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირში გაიშალა, თავის ფერხულში ჩაითრია ჩვენი საწარმოებიც და კოლმეურნეობები. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოიპოვებიან ათი ათასობით სტახანოველები. შემიძლია დავასახელო ჩვენი ცალკეული სტახანოველები: აი ამხ. რუდენკო—შუშის მჭრელი შუშის ქარხანაში; ამხ. პოხოროვი—ხორცკომბინატის ოსტატის თანაშემწე, ამხ. გოლუბევი ხორცმაკონსერვის კომბინატიდან, ამხანაგი სერგეევი მექანიკურ-სამსხმელო ქარხანაში, ამხ. აბიდუევი—წისქვილის კომბინატში, ამხ. მალცევი — ულან-უდის დეპოს კრივონოსელი მემანქანე, ამხ. ვასილიევა—სტამბის სააწყობო საამქროს სტახანოველი ქალი და მრავალი სხვა. საკუთარი სტახანოველი, ულან-უდის სადგურის დეპოს მემანქანე ამხ. კალინინი, რომელიც სტახანოვური მოძრაობის პიონერია ბურიატ-მონღოლეთში, დაჯილდოებული იყო უმაღლესი ჯილდოთი—შრომის წითელი დროშის ორდენით. — ორთქლმავალთა და ვაგონ-სარემონტო გიგანტი ქარხნის, შუშის ქარხნის, წისქვილის კომბინატისა და სხვა საწარმოთა ცალკეული საამქროები გადადიან სტახანოვურ ცვლაზე, სტახანოვურ დღეღამეზე.

ჩვენ გვაქვს უდიდესი ზრდა არა მარტო პოლიტიკური, არამედ საერთოდ კულტურულ-სამეურნეო კადრებისა—რაც რესპუბლიკა არსებობს, ასობით და ათასობით ადამიანებმა დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები, კავშირის ყველა დიდ ქალაქში, განსაკუთრებით მოსკოვსა და ლენინგრადში. რევოლუციამდე ბურიატ-მონღოლეთში არ იყო არც ერთი ინჟინერი და ტექნიკოსი. გვყავდა მხოლოდ ორი ექიმი და რამდენიმე ათეული ბურიატ-მონღოლი მასწავლებელი. ახლა ათობით ინჟინრები და ასობით ტექნიკოსები გვყავან სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. გაიზარდა უდიდესი მასა კულტურული მუშაკებისა. წინათ ჩვენ არც ერთი მწერალი, მსახიობი და მუსიკოსი არა გვყოლია, ახლა გვყავს ათობით ნიჭიერი სპეციალისტი კულტურული მუშაკები—მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები და მწერლები. ჩვენ გვყავს თავისით ნასწავლი ისეთი ნიჭიერი მხატვარი როგორიც არის ამხ. სამბილოვი, რომელსაც ჩვენმა მთავრობამ სახალხო მხატვრის სახელწოდება მიანიჭა და რომლის ნახატსაც დღეს მიგიძღვნით ამხანაგ **სტალინს**.

მაგრამ მოპოვებული გამარჯვებებით ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ. ჩვენს პრაქტიკულ მუშაობას კიდევ ბევრი ნაკლი აქვს, ჩვენ მტკიცედ უნდა ვასრულოთ ამხანაგი მოლოტოვის მითითება, რომ ადრეა გამედიდურება, რომ წარმატებებმა არ უნდა გაგვიტაცოს.

დღევანდელ სასიხარულო დღეს არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი იმ ფაქტს, რომ ჩვენ, ბურიატ-მონღოლები ჩვენი დიდი კავშირის იმ ნაწილს წარმოვადგენთ, რომლის მოსაზღვრედაც აღმოსავლეთით იმპერიალისტური იაპონია არის. ბურიატ-მონღოლეთის მშრომელმა მასებმა კარგად იციან ის ზრახვები, ის მტაცებლური მისწრაფებანი, რომელსაც ატარებენ შორეულ აღმოსავლეთში და მეზობელ მონღოლეთში იაპონელი იმპერიალისტები.

ნება მიბოძეთ მოგიყვანოთ ერთი ისტორიული ფაქტი: 1920 წლის იანვარში, როდესაც იაპონელ-სემიონოველთა ბანდა შემოიჭრა ზაბაიკალიეში, მდინარე ტუგნის ველზე, სადაც მაშინ პარტიზანთა მოძრაობა იყო, ულუს დანზინში იაპონელებმა დაიჭირეს ბურიატ-პარტიზანი დამბა ბანზარაქშიევი, რომელმაც დახვრეტის წინ განაცხადა: „მე ბოლშევიკი ვარ და, თუ თქვენ, იაპონელები, ამჟამად მე ერთს მკლავთ, ჩემს ადგილს დაიჭერენ ათეული მებრძოლები და მუსრს გაავლებენ ჯალათთა მთელ ხროვას“ **(ტაში)**. მაშინ ბანზარაქშიევები თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ, ახლა ასეთი ბოლშევიკები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ბურიატ-მონღოლეთში ერთეულები კი არ არიან, არამედ ათიათასობით დაითვლებიან; ისინი შეძლებენ სახელოვან წითელ არმიასთან და საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად დაიცვან თავისი სამშობლოს—სსრ კავშირის საზღვრები და ნებას არ მისცემენ იაპონელ იმპერიალისტებს „შეყონ თავისი ღორული დინგი ჩვენს საბჭოთა ბოსტანში“.

ჩვენ დღეს ბურიატ-მონღოლეთის მთელი მშრომელების სახელით ღრმა სიხარულისა და სიამაყის გრძნობით გარწმუნებთ, რომ ჩვენ ვიბრძვით არა მარტო შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის, კულტურული რესპუბლიკისათვის, არამედ უფრო ძლიერ ვიბრძვით ჩვენი დიდი სამშობლოს—სსრ კავშირის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებისათვის (მქუხარე ტაში).

ათი წლის წინათ ბურიატ-მონღოლეთის ისტორიაში პირველად შექმნილი საკადრო მებრძოლი ნაციონალური ნაწილი იზრდება და ძლიერდება, ეუფლება სამხედრო ხელოვნების ტექნიკას, როგორც ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის განუყოფელი ნაწილი. ბურიატ-მონღოლეთის მშრომელმა მასებმა კარგად იციან ის გმირული საქმეები, რომელიც ჩაიდინეს ბურიატ-მონღოლეთის ცხენოსანმა ნაწილებმა 1929 წლის ბრძოლაში ჩინეთის თეთრ გენერლებთან, კაპიტალისტების მსახურებთან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის კონფლიქტის დროს.

დიდია ჩვენი ხალხის სიხარული და სიამაყე, დიდია სიყვარული ჩვენი სახელოვანი წითელი არმიისა და მისი საყვარელი ბელადის ამხანაგი ვოროშილოვისადმი **(მქუხარე ტაში)**.

დაე მტრებმა იცოდნენ და არ ივიწყონ, რომ ძველი „ინოროდეცი“ ბურიატ-მონღოლების და ახლანდელი საბჭოთა სოციალისტური ბურიატ-მონღოლეთის შედარება შეუძლებელია.

განა შეიძლებოდა ლაპარაკი სამშობლოზე, ან მის დაცვაზე წინათ, როდესაც ჯალათი კუროპატკინი დედამიწის პირისაგან აღგვას ემუქრებოდა მთელ ბურიატ-მონღოლეთის ხალხს? განა შეიძლებოდა ლაპარაკი სამშობლოზე და მის დაცვაზე, როდესაც მეფის დროის ბატონპატრონები, მოხელეები ბურიატ-მონღოლებს მონებად აქცევდნენ? ცხადია, არ შეიძლებოდა.

ნება მიბოძეთ ბურიატ-მონღოლეთის ყველა მშრომელის სახელით განვუცხადო პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, ხალხთა საყვარელ ბელადს ამხანაგ **სტალინს** და საბჭოთა კავშირის მარშალს ამხ. **ვოროშილოვს**, რომ ბურიატ-მონღოლეთის მშრომელი მასები თოფის-წამალს მშრალად შეინახავენ, რომ ჩვენ შევძლებთ მყარი ზურგი შევუქმნათ ჩვენს წითელ არმიას, რომ ჩვენ შევძლებთ ყოველ წუთს ავდგეთ ჩვენი დიდი სამშობლოს, დიდი საბჭოთა კავშირის დასაცავად. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, „ვაშა“ ძახილი).**

სიტყვას გაძლევთ შენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ მშრომელი მასები რწმენით უყურებენ თავის მომავალს. ჩვენი გული ღელავს სავსე სიხარულითა და [illegible]ბით. ეს სიხარული, მისალმების ეს სიტყვები ჩვენ [illegible] შენთან მოგვაქვს, ჩვენო ბრძენო ბელადო და მასწავლებელო. ჩვენო დიდო **სტალინ! (მქუხარე ოვაციები, შეძახილები, „ვაშა ამხანაგ სტალინს“).**

ამხ. ხოცა ნამსარაევის სიტყვა

მწერალი

(ლაპარაკობს ბურიატ-მონღოლურ ენაზე. სიტყვას რუსულად სთარგმნიან)

თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, მთლიანად ბედნიერი, სასიხარულო, ზაბაიკალიეს მზესავით ბრწყინვალე ცხოვრების დიდ ხუროთმოძღვარს, მოგმართავთ ჩემი მისალმების სიტყვით.

ამჟამად მეძნელება სიტყვით გამოვთქვა ის სიხარული, რომელსაც ავსილვარ იმის გამო, რომ განხორციელდა ჩემი ოცნება—მენახეთ და მომემართა თქვენთვის გულითადი სიტყვით. ამის გამოთქმა თურმე ისევე ძნელია, როგორც ძნელია ასახო ლიტერატურაში სიხარულით აღსავსე სოციალისტური ცხოვრება.

ბურიატ-მონღოლური საბჭოთა ლიტერატურა, რომელსაც ჩვენი საკოლმეურნეო დელეგაციის შემადგენლობაში მე წარმოვადგენ, ყველაზე ახალგაზრდა ლიტერატურა არის, რომელიც რეალობად იქცა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. იგი ოქტომბრის შვილია. მიუხედავად თავისი მხოლოდ თხუთმეტი წლის არსებობისა, მან ხალხის წიაღიდან წარმოშვა ათობით მწერლები მასათა შეგნების სოციალისტურად გარდაქმნისა და მათი კულტურის ამაღლების დიდი საქმისთვის. ერთი მათგანი მე ვარ.

ბავშვობაში, მთელი ჩემი ახალგაზრდობის წლებში თვით ოქტომბრამდე, მე არ ვიცნობდი ნამდვილ ლიტერატურას. არ მქონდა მასზე არავითარი წარმოდგენა. ერთადერთი, რაც მე ვიცოდი და რაც მხიბლავდა, ის იყო რაფსოდების თქმულებანი. მარტო მე არა მაქვს ასეთი [illegible] ბიოგრაფია. ყველა ჩემი თანამოსაგრე ბურიატ-მონღოლეთის ლიტერატურულ სარბიელზე, ასეთივე ცოდნის მარაგით მოვიდა ლიტერატურაში. და აი ჩვენ ყველამ, როგორც მწერლებმა, საბჭოთა ეპოქის შვილებმა, რატომ დავიწყეთ შემოქმედებითი მუშაობა ოქტომბრიდან, ისევე როგორც დავიწყეთ ჩვენი ლიტერატურის მატიანე.

ბურიატ-მონღოლეთის მწერალთა მთელი საზოგადოებრიობის სახელით გპირდებით თქვენ, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ**, რომ ჩვენ ვასრულებთ რა თქვენს ბრძნულ მითითებას მწერალთა,—როგორც ადამიანის სულის ინჟინერთა—როლზე, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით შემოვიტანთ ჩვენს ლიტერატურაში ყველა ჟანრი, ყველა ლიტერატურული ფორმა, დახვეწილი ლექსით და გათავებული პიესით და რომანით.

ჩვენი შემოქმედება უფრო და უფრო სწრაფად აღწევს მკითხველთა შეგნებამდე, იწვევს მათში ლიტერატურის უდიდეს ინტერესსა და სიყვარულს. ჩვენმა ლიტერატურამ საბოლოოდ გაიძევა საეკლესიო—ლამური ლიტერატურა. გადმოთარგმნილია და ითარგმნება ბურიატ-მონღოლურ ენაზე კლასიკოსებისა და საბჭოთა მწერლების ნაწარმოებნი. ბურიატ-მონღოლურ ენაზე გადმოთარგმნილია ზოგი ნაწარმოები ტოლსტოისა, ტურგენევისა, ჩეხოვისა, პროლეტარული ლიტერატურის დიდი ოსტატის მაქსიმ გორკისა, ფურმანოვისა, შოლოხოვისა, მაიაკოვსკისა, კირშონისა და სხვათა.

ვთარგმნით და ახლაც განვაგრძობთ თარგმნას ჩვენს ბურიატ-მონღოლურ ენაზე პუშკინის სიკვდილის 100 წლისთავის სამზადისთან დაკავშირებით უდიდესი რუსი პოეტის პუშკინის უკვდავ ქმნილებებს და 100 წლის შემდეგ ვახორციელებთ მის ოცნებას იმის შესახებ, რომ მისი ქმნილებანი მიაღწევენ მაშინდელ ველურ „ტუნგუსამდე და სტეპების მეგობარ ყალმუხამდე“.

ასეთია ის წარმატებები, რომელთაც მიაღწია ჩვენმა ლიტერატურამ, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა მეორე ხუთწლედის დიდ ამოცანებთან დაკავშირებით.

გაუმარჯოს ადამიანის სულის დიდ ინჟინერს ამხანაგ **სტალინს! (ტაში).**

გაუმარჯოთ ამხანაგ მოლოტოვს, ვოროშილოვსა და კალინინს! **(ტაში).**

ამხ. ნამსარაევი ბურიატ-მონღოლურ ენაზე კითხულობს თავის ლექსს, რომელიც ამხანაგ **სტალინს** მიუძღვნა **(ტაში).**

ბურიატ-მონღოლეთის პოეტის ხოცა ნამსარაევის ლექსი

დიდ სტალინს

მძლეთა მძლეველო,
ფოლადზე მტკიცევ, სტალინ!
შენ მაღალი ხარ,
ვით უმაღლესი
ქედი საიანისა.
შენ წმინდა ხარ და გამჭვირვალე,
ვითა კამკამა მდინარენი ბაიკა-
ლისა,
შენზე სიმღერას რომ მოჰთქვამენ
მთელსა ქვეყანას!
ჩვენი ქვეყანა—
წინ გაიჭრა,
გამარჯვებითა ფრთებ გამოსხმული
შენი მოძღვრება
ცეცხლად ლევის ტაეპებისთვის.
წინათ უდაბნოს ჩვენსა ველებში
ისმოდა ხმები, დაირა-ბუკის, ჰანგურ
დაფისა.
შემოჰქრიან ორჭმები. ეს ლამი-
ზმა.
და ორგიები—სამარისა შამა-
ნებისა,
აქეთ-იქით ქარი არბევდა.
მოჰქონდა რა ღარიბთათვის
ტანჯვა-ვაება.
ახლა კი მედგრად ჩვენ მოგვწოლია
მოსავლისა მაღალი ტალღა,
ტრაქტორებისა გუგუნით უკვე
იცვალა.
სევდისმომგვრელი ძველი კვნესა
და დამკვრელებისა ჩვენს შრომაში
კიდით-კიდემდე, მილიონთა მრა-
ვალთა ხელით,
ჩვენ გამოვზარდეთ აქ ჯოგები,
შეუპოვრობით, ჩვენი ძალის
დაუშრეტელად
ბედნიერების ცხოვრებითა ვიწყეთ
ცხოვრება,
და ჩვენი დროშა სასიხარულო,
წითელ ხარტყლად ცას გადაეშლო,
ზე აიმართა უმაღლესსა მწვერვა-
ლებამდე!
დე იმარჯვებდეს სამარადისოდ
მოძღვრება შენი, სტალინო ჩვენო!
დიდ ლენინისა მოწაფეო
და ბუმბერაზო ბელადო, ბრძენო!

ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ამხანაგებო, მოგმართავთ თქვენ მისალმების სიტყვებით თქვენს დედაენაზე: საინ, ხუხუდ! **(ტაში, შეძახილები: „გაუმარჯოს ამხ. მოლოტოვს! ვაშა!“).**

ამხანაგებო, ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის ყველაზე მოშორებული რესპუბლიკაა. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მოსკოვისაგან ყველაზე მეტად დაშორებულ ამ რესპუბლიკასაც საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენი ლენინური პარტია მუდმივ მზრუნველობით ეკიდებოდა და ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკის შექმნის დასაწყისიდანვე დღევანდელ მომენტამდე პირადად მუდმივ ყურადღებით ეკიდებოდა მას ამხ. სტალინი **(ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს ამხ. სტალინს! ვაშა“).**

ჩვენ ამის შეგვიძლია დავძინოთ, რომ ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკა, მიუხედავად მთელი თავისი ჩამორჩენილობისა წარსულში, თავისი შეუპოვრობით ახალი სოციალისტური ცხოვრების შექმნაში, კოლმეურნეობათა მუშაობითა და კულტურულ წამოწყებათა განვითარებით მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკებს ეკუთვნის **(ტაში).**

ბურიატ-მონღოლეთის უმთავრეს სამეურნეო საკითხს მეცხოველეობა წარმოადგენს.

მას შემდეგ რაც დამთავრდა ეგრეთწოდებული „რეორგანიზაციის“ პერიოდი კოლმეურნეობათა მშენებლობაში, უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ბურიატ-მონღოლეთში დაიწყო საკოლმეურნეო ცხოვრების აღმავლობა. იქ, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ მხოლოდ ცალკეული იღბლიანი ადამიანები ძლიერდებოდნენ, წელში იმართებიან სწრაფად მზარდი კოლმეურნეობანიცა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, წელში იმართება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მეცხოველეობა. ეს იქიდან სჩანს, რომ მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმა 1935 წელს როგორც ცხენის, ისე რქიანი პირუტყვის მხრივ, როგორც ცხვრისა და თხის, ისე ღორის მხრივ ბურიატ-მონღოლეთმა არათუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულა **(ტაში).**

გასულ წელს თვალსაჩინო წარმატებები იქნა მიღწეული ბურიატ-მონღოლეთის მეცხოველეობის დარგში. მაგრამ ეს ჯერ კიდევ სრულიადაც არ კმარა.

ჩვენ გვაქვს აღმავლობის მხოლოდ დასაწყისი, უნდა უზრუნველვყოთ მეცხოველეობის დიდი ზრდა, როგორიც ბურიატ-მონღოლეთს ჯერ კიდევ არასოდეს ჰქონია, როგორიც იგი წინათ ვერც კი იოცნებებდა. ამისათვის ჩვენ უნდა დავიწყოთ ამ დარგში ყველაზე გადაუდებელ პრაქტიკულ ამოცანათა გადაჭრას. საგრძნობლად უნდა ავსწიოთ ვეტერინარიის საქმე და გავაჩაღოთ ენერგიული ბრძოლა ყოველგვარი ეპიზოოტიის წინააღმდეგ საკოლმეურნეო პირუტყვთა შორის და საბჭოთა მეურნეობებში. უნდა ავამაღლოთ პირუტყვის ჯიშიანობა და უზრუნველვყოთ მისი მაღალი პროდუქტიულობა. შემდეგ, აუცილებლად საჭიროა შევქმნათ უფრო ხელსაყრელი პირობები მეცხოველეობის პროდუქტთა გადასამუშავებლად, რისთვისაც უნდა მივაწოდოთ სათანადო მანქანები და მოწყობილობა. მეტადრე საკოლმეურნეო ფერმებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

მეცხოველეობის პრობლემა ახლა საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების ცენტრში დგას. ეს სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილი დარგია. ამავე დროს კი ტყავის, მატყლის, ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტთა მოთხოვნილება ჩვენს ქვეყანაში ფრიად დიდია და ეს მოთხოვნილება ჯერჯერობით სრულიად არასაკმარისად კმაყოფილდება. ჩვენი მოვალეობაა, მთელი ძალღონით მხარი დავუჭიროთ მოწინავე კოლმეურნეებს და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მეცადინეობას მეცხოველეობის განვითარებაში, პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებაში, ჩვენი ქვეყნის მეცხოველეობის განვითარებისათვის ისეთ პირობათა შექმნაში, რომელნიც მთლიანად უზრუნველყოფენ მოსახლეობის საარსებო საჭიროებათა დაკმაყოფილებას მატყლის, ტყავეულისა და სხვათა მხრივ უკვე უახლოეს წლებში.

აქ გამოვიდნენ ბურიატ-მონღოლეთის საუკეთესო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები, რომლებმაც გვამცნეს თავისი მუშაობის მთელი რიგი შესანიშნავი წარმატებანი მეცხოველეობის ფერმებში, რქიანი პირუტყვის ფერმებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც წარმატებით იბრძვიან ძროხის, თხისა და ცხვრის ჯოგის უსწრაფესად გადიდებისათვის.

ჩვენ მივესალმებით, ამხანაგებო, თქვენს წარმატებებს მეცხოველეობის აღმავლობაში და იმედი გვაქვს, რომ თქვენ შემდეგში ლენინურად გაართმევთ თავს კიდევ უფრო დიდ ამოცანებს მეცხოველეობის დარგში. **(ტაში).**

ბურიატ-მონღოლეთმა არა მარტო სოფლის მეურნეობის დარგში, არამედ მრეწველობაშიც უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ. თქვენში უკვე გაჩნდა მთელი რიგი დიდი ინდუსტრიული საწარმო, მთავრდება ინდუსტრიული გიგანტის — ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მშენებლობა.

მრავლდება ბურიატ-მონღოლეთის მოსახლეობა და სწრაფად ვითარდება მისი დედაქალაქი ულან-უდე, ბოლო 15-ოდე წლის განმავლობაში ამ ქალაქის მოსახლეობა 18 ათასი მცხოვრებლიდან 100 ათასამდე ავიდა.

განსაკუთრებით სასიხარულოა, კულტურული მშენებლობის განვითარება ბურიატ-მონღოლეთში. სწრაფად მატულობს სკოლები, ამასთან წერა-კითხვის მცოდნე ბურიატ-მონღოლთა რაოდენობა რევოლუციის განმავლობაში სულ ცოტა ერთიათად მაინც გადიდდა. იზრდება ბურიატ-მონღოლური პრესა, გაზეთები, სახელმძღვანელოები. თუ რევოლუციამდე ბურიატ-მონღოლებს არც ერთი საავადმყოფო არა ჰქონდათ, ახლა მრავალი ათეული საავადმყოფო არსებობს, გაჩნდნენ სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, კურორტები და არა ერთი და ორი ათასი საბავშვო ბაგა.

ბურიატ-მონღოლეთის კულტურულ-პოლიტიკურ განვითარებაში უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს ბურიატ-მონღოლეთის ჯარის ნაწილის შექმნას, რომელიც შედის ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმიის შემადგენლობაში. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ აქ გვყავდა მხოლოდ ბურიატ-მონღოლეთის დივიზიონი. ამჟამად ეს დივიზიონი გადაიქცა ლეგიონად, რომელიც, ამხ. ვოროშილოვის აზრით, კარგ ნაწილად ითვლება **(ტაში).**

ვოროშილოვი. მართალია!

მოლოტოვი. მე შემიძლია დავიმოწმო აქ მჯდომი ამხ. ვოროშილოვი და ნათქვამს დავუმატო, რომ ახლო მომავალში ეს ლეგიონი გადაიქცევა ბურიატ-მონღოლეთის ბრიგადად. **(მქუხარე ტაში)**

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბურიატ-მონღოლეთის ლეგიონი და მით უფრო ბურიატ-მონღოლეთის მომავალი ბრიგადა, ისე როგორც მუშურ-გლეხური წითელი არმიის ჩვენი სხვა ნაციონალური ნაწილებიც, ღირსეულად შეასრულებს იმ ამოცანას, რომელსაც მას საბჭოთა კავშირი დააკისრებს **(ტაში).**

აღვნიშნავ ამ ჯარის ნაწილის მნიშვნელობას საბჭოთა მთელ მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც ბურიატ-მონღოლეთში სწარმოებს როგორც მუშურ-გლეხური წითელი არმიის სხვა ნაციონალური ნაწილები, ბურიატ-მონღოლეთის ჯარის ნაწილიც თავის თვალსაჩინო წვლილს შეიტანს ჩვენი ნაციონალური კადრების ზრდის საქმეში, საბჭოთა კულტურის ზრდის საქმეში, საბჭოთა ბურიატ-მონღოლეთის ნაციონალური აღმავლობის საქმეში. ბურიატ - მონღოლეთის შემდგომი სწრაფი სამეურნეო და კულტურული ზრდის საწინდარს წარმოადგენს საკუთარი ნაციონალური საბჭოთა ინტელიგენციის კადრების ზრდა. ეს ნაციონალური საბჭოთა ინტელიგენცია ჯერ კიდევ იტყვის თავის სიტყვას ბურიატ-მონღოლი ხალხის, როგორც დიდი საბჭოთა კავშირის ერთერთი სახელოვანი ნაწილის, აღორძინების საქმეში.

უზარმაზარი მანძილი, შეიძლება ითქვას, მთელი უფსკრული ძევს ბურიატ-მონღოლი ხალხის სულ ახლო წარსულისა და ახლანდელ პერიოდს შორის, როცა ბურიატ-მონღოლეთში საბჭოთა დროშა ფრიალებს.

მძიმე წარსულზე, მეფის მოხელეების და კაპიტალისტების ძარცვა-გლეჯაზე, ამ წარსულის ლამებზე და შამანებზე ბურიატ-მონღოლეთში, აქ საკმაოდ ბევრი ითქვა. აქ ილაპარაკა მოჯამაგირის ქალიშვილმა, ახლანდელმა კოლმეურნემ ამხ. [illegible], რომელმაც წარსულში ტანჯვის მძიმე ფიალა დაცალა. მან თავისი წარსული მოიგონა და სთქვა: „წინათ ქალს პირუტყვზე უფრო იაფად აფასებდნენ ქალს ყიდულობდნენ და ჰყიდდნენ. და ჩვენი ეს უბედური ცხოვრება წარსულს ჩაბარდა...“.

რაღა დავუმატოთ ამ მწარე სიტყვებს?

ამხ. ერბანოვმა აქ მოიყვანა იმის მკაფიო მაგალითები, თუ როგორ ექცეოდნენ მეფის ხელისუფალნი ბურიატ-მონღოლეთის ხალხს. დაწყებული მეფის პირველი კოლონიზატორებით და გათავებული გენერალ კუროპატკინებით და მათი მსგავსი ელემენტებით, მეფის თვითმპყრობელობა, მემამულეები და მეფის მოხელეთა მრავალრიცხოვანი ხროვა ბურიატ-მონღოლებს უყურებდნენ, როგორც მონებს, როგორც პირუტყვს. მეფის მთავრობა თავის დამქაშებს შორის განსაკუთრებით აფასებდა იმათ, ვინც ბურიატ-მონღოლეთის ხალხის ჯალათები იყვნენ, და ყოველნაირად ამრავლებდა ამ ჯალათებს დაპყრობილ განაპირა რაიონებში. ამხ. ერბანოვი მართალი იყო, როცა სთქვა, ბურიატ-მონღოლეთის ხალხის ისტორია შემაძრწუნებელი ფურცლებით არის აღსავსეო.

ბურიატ-მონღოლეთის ხალხის ჩაგვრაში ბურიატ-მონღოლთა წრიდან გამოსულ ბობოლებს — მეჯოგეებს, ვაჭრებსა და მსხვილ მოხელეებს მცირე როლი არ უთამაშნიათ. ამ ხროვის ღირსეული დასასრული იყო ის მომენტი, როცა მშრომელი ბურიატ-მონღოლები რევოლუციურად გაუსწორდნენ მას და როცა მათ ბედნიერად და სამუდამოდ მოუღეს ბოლო ლამების მრავალათასიან წოდებას; ეს ლამები კი წურბელასავით სისხლსა სწოვდნენ ბურიატ-მონღოლ ხალხს. მშრომელი ბურიატ-მონღოლები ახლა მხოლოდ იმიტომ გამოვიდნენ ახალ გზაზე, ბედნიერი ცხოვრების გზაზე, რომ მათ ანგარიში გაუსწორეს რეაქციულ ლამებს—მსგავსად იმისა, როგორც რუსმა რევოლუციურმა მუშებმა და გლეხებმა ბოლო მოუღეს ხუცების წოდებას **(ტაში).**

ცარიზმის ისტორიამ და მისმა სამარცხვინო დასასრულმა დაგვანახვეს, რომ მემამულეთა და კაპიტალისტთა არავითარ ხელისუფლებას არ ძალუძს უღელქვეშ იყოლიოს მშრომელები, როცა ხალხის მასებს სათავეში დგება ბოლშევიკურად ორგანიზებული რევოლუციური მუშათა კლასი. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა კისრიდან გადაიგდეს ცარიზმის ჯალათები და კაპიტალის უღელი იმის მეოხებით, რომ შეიგნეს თავისი განთავისუფლების ამოცანა და შექმნეს მტკიცე ძმური კავშირი რუსეთის სხვა ეროვნებათა მშრომელებთან საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში. **(ტაში).**

ბურიატ-მონღოლებთანა და ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ხალხთან ერთად, ყველა ერის მშრომელთა ძმურ კავშირში, რუსეთის პროლეტარიატმა ჰპოვა საიმედო დასაყრდენი ბრძოლაში ბედნიერი ცხოვრების მოსაპოვებლად მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის **(ტაში).**

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმობა ემყარება მშრომელთა საერთო ინტერესს მათს ბრძოლაში ცარიზმის ჩაგვრის წინააღმდეგ, კაპიტალისა და მემამულეთა ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ჩვენ ბედნიერი ვართ იმით, რომ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელმაც წარმოშვა რევოლუციური მუშათა კლასი, ლენინის დიდი პარტია, ოქტომბრის რევოლუცია, რომ ჩვენ ვმუშაობთ ლენინის საქმის დიადი განმგრძობის—ამხ. **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ მცირე წარმატებებს როდი მივაღწიეთ, მაგრამ საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ურთიერთობა უზრუნველყოფს ჩვენთვის შემდგომს, კიდევ უფრო დიდ წარმატებებსა და გამარჯვებებს. საზღვარი არა აქვს იმ ხალხთა წარმატებებს, რომელნიც შეხმატკბილებულად მიდიან წინ კომუნიზმის დროშით **(ტაში).**

არავითარი განსაცდელი არ არის საშიში საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, რომლებიც განთავისუფლდნენ ცარიზმის ჩაგვრისაგან, განთავისუფლდნენ კაპიტალის უღლისაგან. აშენებენ კოლმეურნეობებსა და სოციალისტურ ინდუსტრიას და მტკიცედ იცავენ საბჭოთა საზღვრებს **(ტაში).**

ჩემს გამოსვლას დავამთავრებ სიტყვებით: „გაუმარჯოს ბურიატ-მონღოლეთის მშრომელებს!“ „ბურიატ-მონღოლინ არადინ მანდაბა ბოლტოგოი!“ **(მქუხარე ტაში. ძახილი „ვაშა!“).**

მოისმინა რა აქ ბურიატ-მონღოლ ამხანაგთა ინფორმაცია მათს წარმატებებსა და გამარჯვებებზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მათს ბრძოლაზე სოციალიზმის საქმისათვის, ამ თათბირის პრეზიდიუმმა საჭიროდ მიიჩნია შევიდეს უმაღლეს ორგანოებში წინადადებით რომ ბურიატ-მონღოლეთის საუკეთესო წარმომადგენლები დაჯილდოვებულ იქნან საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი—ორდენებით **(მქუხარე ტაში, ძახილი „ვაშა“)**

გარდა ამისა, ნება მომეცით, ამხანაგებო, გადმოგცეთ მთავრობის საჩუქარი,—საათები, პატეფონები ფირფიტებით, აგრეთვე გაცნობოთ, რომ თვითეულ აქ წარმოდგენილ კოლმეურნეობას მიეცემა საბარგო ავტომობილი **(მქუხარე ტაში ძახილი „ვაშა!“).**

თუმცა როგორც თვითონ დაინახეთ, შეიძლება მე თვითონ ვცდილიყავ გადამეთარგმნა ჩემი სიტყვა ბურიატ-მონღოლურ ენაზე, მაგრამ მე ეჭვი არ მეპარება, რომ ამას უკეთ იზამს ამხ. ერბანოვი, რომელსაც ვუთმობ ამ საქმეს **(მხიარული მოძრაობა დარბაზში. სიცილი).**

საფრანგეთის მთავრობის დეკლარაცია

პარიზი, 30 იანვარი. დღეს პალატაში პრემიერი სარო გამოვიდა მთავრობის დეკლარაციით. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ახალ მთავრობას, რომელიც თავის თავს უყურებს, როგორც „შერიგებისა და რესპუბლიკური სიფხიზლის მთავრობას", საშუალება არა აქვს დასახოს მოქმედების ფართო პროგრამა, ვინაიდან მისი ძირითადი მიზანია მაისის ნორმალური არჩევნების უზრუნველყოფა. მიუხედავად ამისა, მთავრობა სრულიადაც არ ფიქრობს პასიურად დაუცადოს არჩევნებს და განზე დასტოვოს ყველა დაგროვილი ამოცანა. მთავრობას, უწინარეს ყოვლისა, განზრახვა აქვს მიიღოს ზომები ეკონომიური კრიზისის შესანელებლად უმუშევრობასთან ბრძოლისა და ფრანკის დაცვის მიზნით. შემდეგ მთავრობას განზრახვა აქვს უზრუნველყოს საფრანგეთისათვის მშვიდობიანობა და უშიშროება ნაციონალური თავდაცვის გაძლიერებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის საშუალებით. მთავრობა აღნიშნავს თავის ერთგულებას ერთა ლიგისადმი, რომლის ფარგლებშიაც მას განზრახვა აქვს ხელი შეუწყოს იტალია-აბისინიის კონფლიქტის გადაჭრას. შემდეგ დეკლარაციაში ნათქვამია: „მთავრობის მთელი მეცადინეობა მიმართული იქნება აგრეთვე იქით, რომ ყველა ევროპული ერისათვის შევინარჩუნოთ უპირატესობანი ჩვენი მეგობრობისა და ჩვენი ერთგული დახმარების პაქტებისა, რომლებსაც არა აქვთ სხვა მიზანი, თუ არა მშვიდობიანობის დაცვა და ორგანიზაცია ერთა ლიგის ფარგლებში — ეხება საქმე ბელგიას, მცირე ანტანტას, იტალიას, პოლონეთს, საბჭოთა კავშირს თუ ინგლისს, რომლის შეთანხმება საფრანგეთთან ევროპისათვის წარმოადგენს მშვიდობიანობის არსებით გარანტიას. ფართო გეგმების ამ თვალსაზრისით რესპუბლიკური საფრანგეთი ასევე ადასტურებს, რომ იგი მზადაა თანაგრძნობით შეხვდეს ყველა სხვა სამშვიდობო განზრახვას, ამასთან საფრანგეთს უწინარეს ყოვლისა, გულწრფელად ესურვება შეხვდეს ამ განზრახვებს გერმანიის მხრივ". დასასრულ დეკლარაცია აღნიშნავს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს დაიცვას საშინაო მშვიდობიანობა და უზრუნველყოს რესპუბლიკური კანონების მოქმედება; ამასთან იგი არავის მისცემს ნებას დაარღვიოს ქვეყნის მშვიდობიანობა, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს წესრიგისა და მშვიდობიანობის დარღვევის ცდა. დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ სარომ განაცხადა, მთავრობა თანახმაა დაუყოვნებლივ გასცეს პასუხი შეკითხვებზე.

ამხ. ლიტვინოვის შეხვედრა იდენთან

ლონდონი, 29 იანვარი. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი და სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ინგლისში ამხ. მაისკი დღეს საუზმეზე მიიწვია საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა. უცხოეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწენი ამ საუზმეზე არ ყოფილან. (ტასს).

მეფე ედუარდ VIII-მ მიიღო ამხ. ლიტვინოვი

ლონდონი, 29 იანვარი. როიტერის სააგენტო იუწყება: მეფე ედუარდ VIII-მ ბუკინგემის სასახლეში მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ლიტვინოვი (ტასს).

იაპონია-გერმანიის სამხედრო ხელშეკრულება

პარიზი, 30 იანვარი. „ლიბერტეს" მოჰყავს დაწვრილებითი ცნობები საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულების დადებაზე იაპონიასა და გერმანიას შორის. სამხედრო ხელშეკრულების დადებას წინ უძღოდა სპეციალური მისიების მრავალგზისი გამგზავრება გერმანიიდან იაპონიასა და მანჯოუ-გოში და იაპონიიდან გერმანიაში. გასული წლის ნოემბერს გაიმართა იაპონიის სამხედრო ატაშეს თათბირი გერმანიის გენერალურ შტაბთან ფონ-რიბენტროპის დასწრებით. სანამ ხელშეკრულების პარაფირებას მოახდენდნენ, პოლონეთთან და ფინეთთან ერთად იკვლევდნენ ბალტიის ზღვის სანაპირო ბაზების საკითხს. გერმანია-იაპონიის სამხედრო ხელშეკრულების ხელისმომწერად ასახელებენ გენერალ [illegible]—ჰიტლერის მეგობარსა და მრჩეველს. რიბენტროპთან ერთად იგი ეწევა აღმოსავლეთის დაპყრობისა და კოლონიზაციის პროპაგანდას. გაზეთის მტკიცებით, პირველი წინადადებანი სამხედრო ხელშეკრულების შესახებ იაპონიამ გერმანიას მისცა ჯერ კიდევ 1934 წლის დამდეგს. მაგრამ იაპონია ამ საკითხით სერიოზულად მხოლოდ მას შემდეგ დაინტერესდა, როცა დარწმუნდა გერმანიის სამხედრო ძლიერების აღდგენასა და მის სწრაფ სამხედრო მზადებაში.

იაპონია-მანჯურიის ახალი პროვოკაცია

ხაბაროვსკი, 30 იანვარი. ა.-წ. 30 იანვარს 14 საათსა და 30 წუთზე ჩვენმა სასაზღვრო რაზმმა ჩვენს ტერიტორიაზე საზღვრის ხაზიდან სამი კილომეტრის დაშორებით, მეშჩერიაკოვის რაიონში, სადაც ა.-წ. 29 იანვარს საბჭოთა ტერიტორიაზე გადმოვიდა და ინტერნირებულ იქნა მანჯურიის [illegible], აღმოაჩინა სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი 4 იაპონელი და მანჯურიელი [illegible]. როცა სასაზღვრო რაზმელები მათ დაუახლოვდნენ, საზღვრის დამრღვევებმა სროლა აუტეხეს. იმავე დროს [illegible] გამოჩნდა და სროლა აუტეხა ორმა შეიარაღებულმა იაპონია-მანჯურიის რაზმმა; რაზმები 30 კაცისაგან შესდგებოდნენ. შემოსევის ადგილას გამოცხადდნენ ჩვენი სასაზღვრო საგუშაგოს დამხმარე ძალები 25 კაცის შემადგენლობით, რომლებმაც ბრძოლით დაახევინეს უკან—საზღვრისაკენ საბჭოთა ტერიტორიაზე შემოჭრილ იაპონელებსა და მანჯურიელებს.

ამ დროს საბჭოთა ტერიტორიაზე ინციდენტის ადგილას მოუვიდნენ იაპონელთა და მანჯურიელთა ახალი რაზმები ისე, რომ ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრილთა საერთო რიცხვი ერთ ასეულს აღემატებოდა. მათ ტყვიამფრქვევიდან დაუშინეს ტყვია ჩვენს სასაზღვრო რაზმელებს.

ბრძოლის შემდეგ, რომელიც დროდადრო ხელჩართული ბრძოლის ხასიათს ღებულობდა, იაპონელები და მანჯურიელები იძულებული გახდნენ დაეხიათ მანჯურიის ტერიტორიაზე.

ორივე მხრიდან არიან მოკლულნი და დაჭრილნი (ტასს).

იაპონია-მანჯურიის რაზმის ახალი თავდასხმა მონღოლთა საგუშაგოზე

ულან-ბატორი, 29 იანვარი. აქ მიღებული ცნობებით, ბუირ-ნორის რაიონში მონღოლეთის სასაზღვრო საგუშაგოს, რომელიც სამი კაცისაგან შესდგებოდა, 27 იანვარს თავს დაესხა 5 კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული რაზმი რომელიც მანჯოუ-გოს ტერიტორიიდან მოვიდა. სროლის შემდეგ თავდამსხმელები გაიქცნენ და შეტაკების ადგილზე დასტოვეს ერთი მოკლული, რომელიც რუსი თეთრგვარდიელი აღმოჩნდა, და ორი შაშხანა. (ტასს).

მევენახე სტახანოველთა შეკრება წინანდალში

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან

29 იანვარს წინანდალში გაიმართა კახეთის რაიონებისა და ბორჩალოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების სტახანოველთა შეკრება.

ლოზუნგებითა და გირლანდებით მორთულ საბჭოთა მეურნეობის კლუბს ლურჯხალათებში გამოწყობილი პიონერები სიმებიანი ორკესტრით ეგებებოდნენ. წინანდლელებს თავის კლუბში ჯერ არ ახსოვთ ამდენი სტუმარი. აქ თავი მოიყარა ნაფარეულის, ყვარელის, ხირსის, კარდანახის, მუკუზნის, მანავის, ყულარის და გურჯაანის საბჭოთა მეურნეობების 150-მდე სტახანოველმა, ჩვენი ბედნიერი ქვეყნის ამ სახელოვან ადამიანებმა. მათთან ერთად არიან მეურნეობის დირექტორები, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სპეციალისტები.

შეკრებას დაესწრნენ სამტრესტის ხელმძღვანელები, პროფკავშირთა წარმომადგენელნი და თელავის რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა სამტრესტის მმართველმა ამხ. **ს. კუხალეიშვილმა**. ირჩევენ საპატიო და საქმიან პრეზიდიუმს. საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** სახელის გაგონებაზე ყველა ფეხზე დგება, დიდხანს გრიალებს ტაში, გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს! გაუმარჯოს სტახანოვური მოძრაობის სულისჩამდგმელს ამხანაგ სტალინს!

ფოტო ი. ტორის

ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი **ისიკაშვილი**.

შეკრება ოვაციებს უმართავს დიდი ბელადის საუკეთესო მოწაფეს, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს ამხ. **ლავრენტი ბერიას**, როცა მას საპატიო პრეზიდიუმში ასახელებენ.

შეკრებაზე გამოვიდნენ საბჭოთა მეურნეობების სტახანოველები: **ფირანიშვილი**, **რეზნიკოვა** (ყვარელი), **მერკულოვი**, **როტიანოვი** (ყულარი), **ბურდულაძე** (მანავი), **ბეჟუაშვილი**, **ვეფხვიშვილი** (წინანდალი), **შანშიაშვილი**, **გოლუბოვა**, **ხარიზოვი** (ხირსა), **კოჩიშვილი** (მუკუზანი), **ისიკაშვილი** (ნაფარეული) და სხვ.

გამოსულ სტახანოველებს სცვლიან მეურნეობების დირექტორები: **ნაზაროვი**, **ბაიდოშვილი**, **ხუხუა**, **ტუხაშვილი**, **ნიორაძე**, აგრეთვე ყვარელის საბჭოთა მეურნეობის პარტორგი **ლომაური** და მუშკომის თავმჯდომარე **ხიხროშვილი**. სპეციალისტები: **ბოლქვაძე** (მუკუზანი), **გვარამაძე** (ნაფარეული), **მშვენიერაძე** (წინანდალი), **ხირაძე** (კარდანახი), **ჟღენტი** (თელავი).

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდნენ თელავის პარტრაიკომის მდივანი ამხ. **ა. გიორგაძე** და პროფკავშირის წარმომადგენელი ამხ. **კალაძე**.

○

რა უამბეს მევენახე სტახანოველებმა შეკრებას?

მათ დიდი ენტუზიაზმით ილაპარაკეს ნორმების გადაჭარბებით შესრულებასა და ძველი ნორმების დამსხვრევაზე, თავიანთ მუშაობაში სტახანოვურ მეთოდებზე, ახალ [illegible].

აი, **შაქრო ფირანიშვილი**, ყვარელის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი, რომელიც ერთიორად და ერთისამად ადიდებს შრომის ნაყოფიერებას. მან შეკრების წინადღით ნორმით დაწესებულ 40 ორმოს ნაცვლად ამოიღო 140 ორმო, დღიური დავალება 350 პროცენტით შეასრულა. ფირანიშვილი ასევე საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს ვაზის გასხვლის, ცოცხალი ღობისათვის პლანტაჟის გაყვანის და სხვა სამუშაოთა ნორმებს.

ერთი-სამად გაიზარდა ფირანიშვილის ხელფასი, გაუმჯობესდა და საამური გახდა მისი ოჯახის ცხოვრება.

რა აწუხებს ფირანიშვილს?

— ის ადგილი, სადაც ჩვენ ვმუშაობთ,—ამბობს შეკრებაზე ფირანიშვილი, — მეურნეობის ცენტრს ორი კილომეტრით არის დაშორებული. ფეხით სიარული ასეთ მანძილზე, ისიც დღეში ოთხჯერ, დიდ დროს გვართმევს, თორემ ნორმებს უფრო მეტად გადავაჭარბებდით.

ყურადღებას იპყრობს იმავე საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი ქალი **რეზნიკოვა**, რომელიც მუშაობაში ფეხდაფეხ მისდევს შაქრო ფირანიშვილს. რეზნიკოვა, „სელმაშტროის" (როსტოვი) ქარხნის ყოფილი მუშა, იმდენსავე ორმოს აკეთებს, რამდენსაც შაქრო.

რეზნიკოვა ჩივის, რომ მეურნეობაში არ არის კულტურული გასართობი, რომ წითელი კუთხე ყოველთვის დაკეტილია. მოწყობილი არ არის ფიზკულტურული წრე და სხვ.

სიმონ ხალიზოვი, ხირსის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი, ვაზის სარგავი ორმოების ამოღების ყოველდღიურ ნორმას 400 პროცენტზე მეტით ასრულებს, ხოლო გადაბარვისას—350 პროცენტამდე.

იმავე მეურნეობის ბრიგადირმა **შანშიაშვილმა** თავის ბრიგადაში (ხვნის დროს) 5.212 კაცდღის ნაცვლად 2.880 კაცდღე დახარჯა, საგრძნობლად შეამცირა ცხენდღეთა რაოდენობა. შანშიაშვილი ყველა სამუშაოთა ხაზით სტახანოვურ მაჩვენებლებს იძლევა. მეურნეობას ის ოთხჯერ ჰყავს დაჯილდოვებული.

შეკრებაზე გამოსულ სტახანოველებს შორის თავისი კარგი მაჩვენებლებით განირჩეოდა წინანდლის საბჭოთა მეურნეობის წარჩინებული ადამიანი **ნიკო ბეჟუაშვილი**. მან ვაზის [illegible] ნამდვილი სტახანოველობა გვიჩვენა.

წინათ ერთ ვაზს ორი კაცი აწვენდა. ერთი თხრიდა მიწას (ვაზის ჩასაწვენად), ხოლო მეორე ნიჩბით ჰყრიდა. როცა ერთი მუშაობდა, მეორე უცდიდა. ამგვარად, ორივე მუშას დრო ბევრი ეკარგებოდა, საქმეს ცოტას აკეთებდნენ, ნორმებს ძლივს ასრულებდნენ. ბეჟუაშვილმა სტახანოვური მუშაობის მეთოდის გაცნობის შემდეგ რაციონალიზატორული წინადადება მისცა ადმინისტრაციას. მან ვაზის დაწვენაზე მარტო მუშაობა ითხოვა, ბეჟუაშვილის მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

ორი იარაღი (ნიჩაბი და ქართული ბარი) ბეჟუაშვილმა მხოლოდ ერთი ბარით შესცვალა. ამ ბარით ბეჟუაშვილი ერთსადაიმავე დროს კიდეც ბარავს და მიწასაც ჰყრის. გარდა ამისა, ბეჟუაშვილმა ამ [illegible] ბარის ტარზე გაკეთებული საფეხური მაღლა ასწია. ამით მან შრომის ნაყოფიერება თითქმის ხუთჯერ გაადიდა. ნორმით დაწესებულ 11 ვაზის ნაცვლად ახლა ის 50-ზე მეტ ვაზს აწვენს.

ნიკო ბეჟუაშვილს უკან არც მისი ამხანაგი **სოლია ვეფხვიშვილი** ჩამორჩება. ეს ორი სტახანოველი წინანდლის საბჭოთა მეურნეობის სიამაყენი არიან.

ფოტო ი. ტორის

ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი ქალი **რეზნიკოვა**

○

ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველ **ა. ისიკაშვილს** წაუკითხავს ბელადის სიტყვა, წარმოთქმული სტახანოველთა საკავშირო თათბირზე, ის იცნობს მუშაობის სტახანოვურ მეთოდს და ამიტომ არის, რომ მან ძველი ნორმები ყირაზე დააყენა. ახლა ის ნორმით გათვალისწინებულ ოთხი რიგი ვაზის გასხვლის ნაცვლად 15—16 რიგ ვაზს სხლავს. ასეთია ყველა მისი მაჩვენებლები. ისიკაშვილმა [illegible] კარგად შეისწავლა მუშაობა, გაზარდა 80 პროცენტით.

— სტახანოველიც ადამიანია და მეც ადამიანი ვარ, რატომ უნდა ჩამოვრჩე მასო—ასე დაამთავრა ისიკაშვილმა თავისი სიტყვა, რომელსაც მთელი შეკრება ტაშისცემით შეხვდა.

ყულარის, ხირსისა და ყვარლის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა ამხ. ნაზაროვმა, ბაიდოშვილმა, ხუხუამ და აგრეთვე სპეციალისტებმა თათბირზე ილაპარაკეს სტახანოვური მოძრაობის გაშლაზე მათ მეურნეობებში, მეურნეობების მდგომარეობაზე, სტახანოველთა მუშაობაზე, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე.

შეკრებაზე გამოვიდა კარდანახის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. **გ. ტუხაშვილი** (პარტიის წევრი, უმაღლესი განათლებით). აი, რა განაცხადა მან: ჩემს მეურნეობაში პირობები არა გვაქვს სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლისათვის. მეურნეობა არ არის მექანიზებული, არა გვაქვს დამხმარე მეურნეობა; მთელ რიგ დარგებში დაწესებული არ არის ნორმები.

ტუხაშვილმა ისიც კი განაცხადა, რომ მას ჰყავს თერთმეტი სტახანოველი, რომელთაგან ოთხი „სტახანოველი" თურმე უნორმოდ მუშაობს.

შეკრებაზე გამოსულმა თელავის პარტრაიკომის მდივანმა ამხ. გიორგაძემ თავის სიტყვაში გააკრიტიკა ტუხაშვილის გამოსვლა.

შეკრების მუშაობა შეაჯამა ამხ. **ს. კუხალეიშვილმა**, რომელმაც სთქვა: კახეთის რაიონების და ბორჩალოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების სტახანოველების ეს პირველი შეკრება უნდა გადაიქცეს მძლავრ ბერკეტად მეურნეობებში სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლისათვის. ამჟამად,—ამბობს კუხალეიშვილი,—ჩვენს მეურნეობებს ჰყავთ ინდივიდუალური სტახანოველები. საჭიროა მუშაობაში სტახანოვურ მეთოდებზე გადავიდნენ მთელი ბრიგადები, დარგები, ისე, როგორც ეს ფაბრიკა-ქარხნებში ხდება.

სამტრესტის მმართველმა მოუწოდა სტახანოველებს, მეურნეობების დირექტორებსა და სპეციალისტებს—კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ მუშაობა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მევენახეობაში სტახანოვური მაჩვენებლების მისაღწევად.

ფოტო ი. ტორის

ყვარლის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი **შაქრო ფირანიშვილი**

○

ამხანაგმა კუხალეიშვილმა თავის საბოლოო სიტყვაში გააკრიტიკა ტუხაშვილის გამოსვლა და აღნიშნა, რომ კარდანახის საბჭოთა მეურნეობას, პირიქით, აქვს ყველა პირობა სტახანოვური მოძრაობის გაშლისათვის.

ბოლოს, სტახანოველების და წარჩინებული ამხანაგების კატეგორიული მოთხოვნით, ტუხაშვილმა აღიარა თავისი შეცდომა.

დასასრულ შეკრებაზე წაკითხულ იქნა სია იმ სტახანოველებისა, რომლებიც დაჯილდოვებულ იქნენ ძვირფასი ნივთებით.

შეკრებამ წერილი გაუგზავნა ამხ. ლ. ბერიას.

ფოტო ი. ტორის

კახეთის რაიონების და ბორჩალოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობათა სტახანოველები სამტრესტის ხელმძღვანელებთან, მეურნეობების დირექტორებთან და სპეციალისტებთან ერთად.

სვ. სალარიძე

ფრაგმენტი ვაჟა-ფშაველას ცხოვრებიდან

გორის სასულიერო სემინარიის საიდუმლო წრის „მოგზაური მასწავლებლის" პროპაგანდისტები, რომლებიც ხალხში აგიტაციას ეწეოდნენ ცარიზმის ცრუ-სიმაგრეების წინააღმდეგ, 1882 წ. შეიკრიბნენ სოფ. უფლისციხეში „წყეული საკითხების" გასარკვევად. შეკრების დამთავრების შემდეგ მე, ვაჟა და რამდენიმე ამხანაგი ტროგლოდიტების ქალაქის დასათვალიერებლად გავედით.

მწყემსის ჯოხით და ვეფხის [illegible] ვაჟა დასცქეროდა უფლისციხის ნანგრევებს, შეხაროდა ვარსკვლავების თამაშს. იგი გადასწვდა გადასულ [illegible] — რაფაელს, ლეონარდო-და-ვინჩის და გაიხსენა მიქელ-ანჯელოს ბრძოლა ქვებთან.

„ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება მიქელ-ანჯელოს მძლავრი მაჯები, რომ ძველი ცხოვრების სიმწრის ვეშაპს ბოლო მოეღოსო", — სთქვა ვაჟამ. — „როგორც შექსპირის ერთერთი გმირი — განაგრძო ვაჟამ, — მე [illegible]: „დანიის სამეფოში ყველაფერი რიგზე არ არისო". სამეფოში, თუმცა არა დანიისა, არამედ რუსეთის აბსოლუტიზმის სათარეშოში [illegible] მწვავე ხანას განვიცდით. ირყევა მონარქიის სიმძლავრის საფუძვლები: პირველ მარტის კატასტროფა, მუშათა კლასის [illegible] სამრეწველო ცენტრებში, გლეხთა სტიქიური აღშფოთება და ბრძოლა გამოღვიძებული ადამიანისათვის, — ყველა ეს სიმპტომი ცხადყოფს, რომ ხალხის წიაღში როგორც ტალში ნაპერწკალი, დაგროვილია რევოლუციური ბრძოლის ძალა. მხოლოდ საჭიროა მიქელ-ანჯელოს კვერი, რომ მკვდარმა ქვამ იფეთქოს ახალი ხელოვნებისა, მეცნიერებისა და სილამაზის [illegible]. შენი განმარტება მისაღებია, მე მაინც გავიმეორებ ჩემი [illegible] შექსპირისავე სიტყვებს: „ქვეყანა [illegible] ბაღიაო"

— კარგი, მაგრამ ვინ უნდა იყოს მებაღე?

— ის, ვინც სულ უფრო და უფრო მაღალი მთის მწვერვალებისაკენ [illegible] — მიუგო ვაჟამ.

წარმართული გრძნობით მან [illegible] და ჩახვრეტილ-ჩაკაფულ გვირაბში მტკვრამდე გაძრომა სცადა. გვირაბის ყელში, სადაც ღამურები ძლივს-ძლივობით [illegible], დანგრეული კლდის მასივი დაგვხვდა. ქვებთან ჭიდილში მთვარე გადაიმალა და მზემ თავი ამოჰყო. ხვრელის სიბნელიდან გამოსვლისას ვაჟამ წამოიძახა: „ჯოჯოხეთიდან გამოვედით და კვლავ მზის სხივები ვიხილეთო".

შემთხვევითი ამბავი არაა, რომ მას რუსოს „ემილი" და „საზოგადოებრივი ხელშეკრულება", სპენსერის [illegible] უბით დაჰქონდა. [illegible], გაჟღენთილი ბუნებრივი ადამიანის ოპტიმიზმით, პირველყოფილ „უბრალოებაში" [illegible] გრძნობდა, როგორც საკნიდან გამოქცეული პატიმარი.

XIX და XX საუკუნეთა უღელტეხილზე საქართველოში კაპიტალიზმი იჭრებოდა, ცეცხლზე ნავთის ასხმასავით და ფეოდალურ-პატრიარქალურ ცხოვრებას არღვევდა. მაშინდელი ფშავ-ხევსურეთი სოციალ-ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა. [illegible] ოლიმპელი ფშავ-ხევსურეთის კლდეების [illegible] ვერ თავსდებოდა. მან აქაც [illegible] თავისი ეგზალტირებული სულის დასაყრდენი არე და როგორც დანტეს „არ ჰქონია გამოსავალი".

ამით აიხსნება მისი გულიდან ამოხეთქილი მრისხანების იერიში [illegible] წინააღმდეგ: „ან შემოქმედების თავისუფლება, ან სიკვდილიო", ამბობდა ვაჟა.

გათენებისას ჩვენ გავემართეთ გორისაკენ. გზადაგზა ვაჟა „თავისუფლების" მცენარეულ კოლექციას აგროვებდა. ბიჭები [illegible] „ბოტანიკოსი პოეტი, ვაჟა ბოტანიკოსიო".

აჭრელებული ბალახით მოფენილ მინდორში გაწოლილ ვაჟას თვალი დავადგი. ტანში [illegible] დამიარა, სიმწრის ოფლი დამასხა. [illegible] ვაჟამ გულის ჯიბე მოიმარჯვა და [illegible] თავი ტანზე მოიმაგრა.

— ვაჟა, შევეკითხე მე, გახსოვს თუ არა ნ. ხიზანაშვილმა რომ სთქვა: „დიონისის კულტის მიმდევარი [illegible], ხოლო გველის მჭამელი ბუნების [illegible] ხდებაო".

— მაგონდება, მიპასუხა მან.

— ბიჭებო, ჩვენს ქვეყანაში ხმა დადის, ვითომ გველის მჭამელი ბრძენია, ბუნების ენას იგებს და რასაც მოისურვებს, მაშინვე აუხდება, ჩაერთო ყარალაშვილი.

— ოჰ და ოჰ, ჩვენს ხალხშიაც დადის მსგავსი თქმულება, მტკიცედ და შეურყევლად სთქვა ვაჟამ.

— ვაჟას ბედნიერი [illegible] ჩვენ გავწევთ მომავალი ბრძოლებისაკენ, დაიგრიალა მხიარულმა ახალგაზრდობამ. ჩვენ ჩამოვსხედით თუთის ხისძირას. აქა იქ პეპლები დაფარფატებდნენ. სემინარიელებმა [illegible] მოაწყვეს ზღაპრებზე. ვაჟამ კი ყური დაუგდო [illegible] ქარს, ალმაცერად გადახედა ახლად მოსულ, ჯოხზე დაყრდნობილ მოწყენილ მეჯოგეს და ღრმა ფიქრებში ჩაიძირა.

○

1903 წ. ყოფილ ალექსანდროვის ბაღში, სახალხო-[illegible] საზოგადოების შენობაში მე მოვაწყე დიდი-გომარეთის კოოპერაციის სასურსათო ფილიალი. [illegible] საზეიმო გახსნაზე ვაჟამ [illegible] ყველი და ქონით [illegible] გამოგზავნა [illegible], ხრამის ცოცხალი კალმახით, შემწვარი თაფლის პურით და [illegible].

ვაჟას უყვარდა მზე, [illegible].

პირველი სადღეგრძელო მან უძღვნა დიდ-გომარეთის კოოპერაციას და მონათლა იგი „[illegible]" [illegible]. „კოოპერაცია—მიმართა ვაჟამ გლეხებს—გაჭირვებასთან ბრძოლის პირობაა. ჩვენი [illegible] ხალხის განთავისუფლება სიღატაკისა და მჩაგვრელ [illegible]. იგი [illegible] მოსწყდა ცხოვრებას და ხელს შეუწყობს წელში გაწყვეტილ გლეხთა ნივთიერ და ზნეობრივ აღორძინებას. თქვენს მაგალითს უნდა [illegible] სხვა სოფლებმაც. მაშინ გზას შეიმოკლებთ, მზეს მოიახლოვებთო".

— „ჩაგრული ხალხის საერთო მევონარო",—შეეკითხნენ გლეხები—[illegible] რაში მიწის შესაძენო. [illegible] კოოპერატივის ოთახი [illegible] გადააჭედა. [illegible] კედლებმა განზე გაიწიეს. იგი შეიქმნა თვითმპყრობელობის [illegible] ბოროტების [illegible], რომლის [illegible] გამოხატავს [illegible] და სიბნელის პოლიტიკაში. [illegible] დრომოჭმული ზნის [illegible] ხალხის [illegible], [illegible] გლეხთა აჯანყებას, სტენკა რაზინის ეპოპეას და არსენ მარაბდელის გათამაშებას პროტესტანტული გლეხური საქართველოსათვის. ვაჟამ დაამთავრა თავისი სიტყვები შეძახილით: „ბარბაროსულ რეჟიმში, სადაც ყოველი გრძნობა, აზრი და შემოქმედება ჩაკლულია და ყველაფერი იხრწნება, ჩვენ, ქართველებს დიდხანს გვძინავს. ჰოი, ვაჟკაცებო, თუ შეგწევთ ბრძოლის უნარი, გულს დაიმედეთ: მიწა და რაც მიწაზე, საერთოა, თქვენიაო".

გლეხების შეკითხვაზე—„რა გზით უნდა დავეუფლოთ ქვეყნის სიმდიდრესაო", „დარაზმული შეტევით, იარაღით ხელშიო",—უპასუხა ვაჟამ.

იქ იყო აკაკი, [illegible]. ჩვენს მისალმებაზე მან მაღლიდან [illegible]. ჩვენ ვიდექით საპატიო დისტანციაზე. აკაკიმ [illegible] ღვარძლიანი სიტყვებით მოგვიკითხა: „სალამი თქვენს მობრძანებასაო". მე [illegible]... ვაჟამ კი ხელი მომკიდა, გვერდით გამიყვანა და აუჩქარებლად, [illegible] მოთმინებით წარმოსთქვა: „აკაკი ჩემი ბედის [illegible], მე კი იგი [illegible] მიყვარსო". მან გაიხსენა [illegible] სიტყვები: „მე სხვა ეგოისტობას არა ვცნობ, გარდა სიკეთისაო. ამპარტავნება და [illegible] აკაკის, ვინაიდან მას დიდი პოეტის გული [illegible]"—სთქვა ვაჟამ.

1881 წ. სემინარიის კედლებზე [illegible] ოთახში, სადაც მე ვცხოვრობდი, მე და ვაჟა ვმეცადინეობდით, ვკითხულობდით, თავს ვიმტვრევდით ჰეგელის ფორმულაზე: „რაც ნამდვილია, გონივრულიაო". ამ აბსტრაქტულ ფორმულას პასუხად ვაჟამ წამოაყენა ჰერაკლიტეს აფორიზმი: „ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლებაო". როდესაც იგი ტოკავდა, ფეთქავდა და მზად იყო კბილებით და კლანჭებით ყველა გამოელაშქრა ჰეგელისათვის, ამ დროს მობრძანდა [illegible]. ბრმა მამამ შარით მიმართა ვაჟას: „ბედაურო, მოიცა ცოტა, შენც დაბერდებიო". [illegible] ვაჟამ [illegible] ბრმა მოხუცს:

„რაში გაიგებენ [illegible],
აყრილი ფრთებით [illegible],
მაშინ დაინახავს ჭაოში მჭრელი[illegible]".

ახლა... ფრთები შეისხა ვაჟამ [illegible].

იგი [illegible] იჯდა [illegible] ერთერთ [illegible] და [illegible] კედელზე დახატულ შიშველი ქალის სურათს, რომელიც მე ცეზარეაში ნახულ ქალღმერთის ქანდაკებას მიუახლოვდეს. მის წინ მაგიდაზე ელაგა: ჩარექი ღვინო ჭიქით, ლორის ნაჭერი, ფოჩებიანი ბოლოკი, ცხრიანი მწვადი და თავს შეიქცევდა. [illegible] და „[illegible]" შეძახილი მის ყურთამდე არ აღწევდა. „ჩემი სიჭაბუკის ოცნება ცოცხლდებაო", სთქვა ვაჟამ. ეს ქალღმერთი მე მაგონებს ახალგაზრდა ვერტერის ემოციებს, რომელთაგამო მე ცრემლი მღვრია (ეს ის პერიოდია, როდესაც ვაჟა [illegible] იდგა შილერის „ყაჩაღებისა" და გოეთეს „ვერტერის" წინაშე). ჯანსაღი [illegible] ადამიანის განუყრელი ნაწილია. განა შექსპირის, ბაირონისა, გოეთესი და შილერის შემოქმედების [illegible] [illegible], [illegible]".

გლდანელმა ღვინით სავსე [illegible] ვაჟას [illegible] გაუწოდა და დასძინა: „ვაჟა, შენს [illegible] შენი [illegible] [illegible] და [illegible] პლანში არ [illegible]".

ვაჟამ [illegible] შეისვა ქალღმერთის და [illegible] შეიხო [illegible]. ხოლო ვიცოდი სემინარიაში და მის გარეთაც, რომ მე [illegible] ვიყავი, შენ კი იცი, რომ ხელოვნება, რომელიც ხალხის სულიერობას არ [illegible]. მთელი ჩემი [illegible].

— მე მიყვარს ჩემი სამშობლო, [illegible] ბუნების [illegible], არა [illegible] მხოლოდ [illegible] და პირიქით. ამისათვის [illegible] ნისლი ბუნებიდან [illegible]. მაგრამ [illegible] ფრენები... მე და მინდიამ [illegible], ცხოვრების უძველეს გზა: [illegible], [illegible], [illegible]. შური და [illegible] ბრძოლა [illegible]. მინდიას [illegible] სულის [illegible]. მე კი [illegible] მხოლოდ [illegible] და ახალი [illegible].— სთქვა ვაჟამ.

[illegible] გლდანელის სიტყვებზე ვაჟა [illegible] და, როგორც პოლონსკის [illegible], [illegible] [illegible].

— [illegible], სთქვა მან. [illegible] ვარსკვლავები [illegible], მისი კი „[illegible] [illegible]" [illegible]: „არ [illegible] მომავლის იმედით".

◆

კომკავშირის რაიონული კონფერენციები

ქუთაისის რაიონი

30 იანვარს, საღამოს 7 საათზე, წითელ არმიის თეატრში, გაიხსნა საქ. ა.ლ.კ.კ. ქუთაისის ორგანიზაციის [illegible] კონფერენცია.

კონფერენცია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **შალვა ხაიძემ**. წინადადებას—ამხ. **სტალინის** საპატიო პრეზიდიუმში არჩევის შესახებ, დელეგატები მქუხარე ტაშით და დიდი ოვაციებით შეხვდნენ. ასევე აღფრთოვანებით იქნენ არჩეული პრეზიდიუმში, საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა და ამხ. დიმიტროვი, ტელმანი, ბერია და კოსარევი.

ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის შემდეგ საქ. ა.ლ.კ.კ. ც. კ-ის ანგარიშის შესახებ მოხსენებით გამოვიდა კომკავშირის ც. კ-ს მდივანი ამხ. **დგებუაძე**. ამხ. დგებუაძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ბეკანიშვილმა, ცუცქირიძემ, [illegible]ძემ, ბარქაიამ, ლომიძემ და სხ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ საქ. კ.პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნები ამხ. **თ. კორხაველი** და **ხ. ჯაფარიძე**.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ამხ. **ლავრენტი ბერიას**.

კონფერენციის მეორე სხდომაზე (31 იანვარს) მოსმენილ იქნა ამხ. **შ. ხაიძის** საანგარიშო მოხსენება კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ.

სამტრედიის რაიონი

26 იანვარს გაიხსნა საქართველოს კომკავშირის სამტრედიის ორგანიზაციის რაიონული კონფერენცია.

კონფერენციამ მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ს პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა ამხ. **სტალინის** მეთაურობით და ამხ. დიმიტროვი, ლ. ბერია, კოსარევი, ფ. მახარაძე, მგალობლიშვილი.

საქმიანი პრეზიდიუმის, სამანდატო კომისიისა და სამდივნოს არჩევის შემდეგ მოსმენილ იქნა საქ. ა.ლ.კ.კ. ც. კ-ისა და სამტრედიის რაიონული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებანი, რომელთა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 48 კაცმა.

კონფერენციამ რაიკომის პლენუმის შემადგენლობაში აირჩია 35 კაცი.

დასასრულ კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხ. **ლ. ბერიას**, **კ. სარიევს**, კოდრიაშევს საქ. კომკავშირის ა.-კ. სამხარეო და საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტებს.

წალენჯიხის რაიონი

28 იანვარს გაიხსნა საქ. კომკავშირის წალენჯიხის რაიონის მე-5 კონფერენცია. ხელმძღვანელი ორგანოების არჩევისა და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა საქ. ა.ლ.კ.კ. წალენჯიხის რაიკომის მდივნის ამხ. **ბერაძის** საანგარიშო მოხსენება.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანს ამხ. **ლავრენტი ბერიას**.

გურჯაანის რაიონი

27 იანვარს საღამოს სრულ 5 საათზე გაიხსნა საქ. ა.ლ.კ.კ. გურჯაანის ორგანიზაციის მე-5 კონფერენცია.

საქ. ა.ლ.კ.კ. გურჯაანის ორგანიზაციის განვლილი მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კომკავშირის რაიკომის მდივანი ამხ. **ზაგრაშვილი**.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქ. ა.ლ.კ.კ. ა.-კ. სამხარეო კომიტეტს—ამხ. **გიორგობიანს** და საქ. ა.ლ.კ.კ. ც.კ-ს—ამხ. **მგელაძეს**.

ვანის რაიონი

28 იანვარს გაიხსნა კომკავშირის ვანის ორგანიზაციის მე-4 საანგარიშო კონფერენცია.

კონფერენციამ მქუხარე ტაშით და ოვაციებით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საქ. კ.პ.(ბ) ც.კ-ის პოლიტბიურო ამხ. **სტალინის** მეთაურობით, ამხ. **დიმიტროვი**, **ლ. ბერია**, **კოსარევი** და **ტელმანი**.

კონფერენციამ მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. **ჩელიძის** საანგარიშო მოხსენება. კამათში რაიკომის მუშაობის გარშემო გამოვიდა 20 ამხანაგი.

29 იანვარს მოსმენილ იქნა მოხსენება პიონერთა შორის და კომკავშირის სამხედრო - ფიზკულტურული მუშაობის შესახებ.

ხანიკიძე.

საქართ. სახკომსაბჭოს დადგენილება

1936 წლის საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებით კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობების დაბეგვრის შესახებ

„[illegible] შესახებ" გამოცემული, სსრ კ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. იანვრის 5-ის დადგენილების მე-2 მუხლისა და ა.-კ. სფსრ სოფლებში საბინაო, კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღების შესახებ გამოცემული, ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა.-კავკ. სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. იანვრის 21-ის დადგენილების თანახმად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღები 1936 წელს ჩატარებულ უნდა იქნეს [illegible] საქართველოს სოფლად, საგარეუბნო დაბებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, სადაც სასოფლო მეურნეობის შემომწირველი მოსახლეობა 1935 წელს დაბეგრილი იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადით.

შენიშვნა: ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში გამოსაღებით, ამ დადგენილების წესისამებრ, იბეგრებიან მხოლოდ ის მეურნეობანი, რომელნიც 1935 წელს დაბეგრილი იყვნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ან რაიმე შეღავათის გამო განთავისუფლებულ იქნენ ამ გადასახადისაგან.

2. გამოსაღებით დაიბეგრებიან:

ა) კოლმეურნეთა მეურნეობანი;

ბ) ერთპიროვნული გლეხური მეურნეობანი

3. კოლმეურნეთა მეურნეობანი და ერთპიროვნული გლეხური მეურნეობანი იბეგრებიან გამოსაღებით შემდეგი რაოდენობით:

ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი და რაიონები.	კოლმეურნეები		ერთპიროვნული მეურნეები	
	რომელთაც არ აქვთ შემოსავლის განუსაზოგადოებელი წყაროები.	რომელთაც აქვთ შემოსავლის განუსაზოგადოებელი წყაროები.	რომელთაც არა ჰყავთ მუშა—საქონელი და არა აქვთ არც საბაზრო, არც არასამიწათმოქმედო შემოსავალი.	რომელთაც ჰყავთ მუშა—საქონელი ან აქვთ საბაზრო თუ არა—სამიწათმოქმედო შემოსავალი.
I. აფხაზეთის ასსრ აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	5 მან.	20 მან	სასოფ.-სამეურნეო გადასახადის 80%	სასოფ.-სამეურნეო გადასახადის 120%
II. დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, წალკის, ბორჩალოს, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის ბოგდანოვკის, [illegible] ჭიათურის, ჩხარის. ტყიბულის, ონის, ცაგერის, [illegible], წალენჯიხის, ფოთის და ქვემოსვანეთის რაიონები	5 მან.	15 მან.	75%	110%
III. თელავის საგარეჯოს, [illegible], კასპის, გორის, ხაშურის, ბორჯომის, [illegible], ქუთაისის, ვანის, სამტრედიის, ხონის, აბაშის, [illegible], ცხაკაიას, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის და მახარაძის რაიონები	5 მან.	20 მან.	80%	120%
IV. ტფილისის, გურჯაანის, [illegible], ლაგოდეხის, სიღნაღის, ლუქსემბურგის, ბოლნისის და [illegible] რაიონები	5 მან.	27 მან.	85%	135%
რესპუბლიკაში . .	5 მან.	20 მან.	80%	120%

ყველა შემთხვევაში ერთპიროვნული მეურნეობის გამოსაღების თანხა უნდა იყოს არანაკლებ, ვიდრე 25 პროცენტით მეტი იმ განაკვეთზე, რაც აღნიშნულ დადგენილია შემოსავლის განუსაზოგადოებელი წყაროების მქონე კოლმეურნეთათვის.

კულაკური მეურნეობანი ყველგან გამოსაღებს იხდიან 1935 წლის სასოფლო-[illegible]

[illegible]

...ცენტის დაკლებით, უკეთუ მეურნეობაში არის ოჯახის სხვა შრომისუნარიანი წევრი და 40 პროცენტის დაკლებით, უკეთუ მეურნეობაში არ არის ოჯახის სხვა შრომისუნარიანი წევრი.

13. ის მუშა და მოსამსახურე, რომელიც სასოფლო მეურნეობას აწარმოებს საკარმიდამო მიწაზე და რომელსაც ჰყავს 1 ძროხა და წვრილფეხა საქონელი და [illegible]

[illegible]

12. შრომის ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებს, რომელთა შემადგენლობაშიაც შედიან მე-11 მუხლში ჩამოთვლილი პირნი, აქვთ შემდეგი შეღავათები: მეურნეობას უმცირდება გამოსაღები გამოანგარიშებული განაკვეთის 20 პრო-[illegible]

[illegible] 100 პროცენტით შემოსული კანონით დაწესებულ ვადაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ჭავთარაძე.**

1936 წ. 23 იანვარი.

ქ. ტფილისი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

„ნ. მხითაროვამ ასე ინება"

1935 წლის 27 ოქტომბერს მივიღეთ წერილი სათაურით: **„ნ. მხითაროვამ ასე ინება"**. წერილის ავტორი ა. დ. თუთაშვილი აღნიშნავდა, რომ ჩემს ბინაში ([illegible] ქ. სახლი № 2) ცხოვრობდა **ნ. მხითაროვა**, რომელმაც ჩემი დაუკითხავად ლენინის რაიონის ბინათა გამცვლელი ბიუროს თანამშრომლის **შელიძისა** და ლენინის რაიონის თანამშრომლის **გომბერიძის** დახმარებით ოთახი გადაუცვალა [illegible] **ხარიტოშვილს.**

რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ლენინის რაიონის უფროს გამომძიებელს ამხ. **სტეფანოვს.** გამომძიებელი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები **დადასტურდა**. გამცვლელი ბიუროს თანამშრომელი **შელიძე** მიცემულია პასუხისგებაში, ხოლო მილიციის თანამშრომელს **გომბერიძეს** საქმე გადაეცა მილიციის მთავარსამმართველოს განსაკუთრებულ ინსპექციას პასუხისგებაში მისაცემად.

„დირექტორი ასეთი უნდა"

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი აღნიშნავდა, რომ სოფ. **[illegible]** (ონის რაიონი) საშუალო სკოლის დირექტორის **გრ. ლობჟანიძის** უთავბოლო მუშაობის გამო სკოლაში უდისციპლინობა და ლოთობაა, მოწაფეები მასწავლებლებს ატყუებენ, გაკვეთილებს, მასწავლებლებშიც შემჩნეულია არაპედაგოგიური მოქმედება.

ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქ. კპ. (ბ) ონის რაიკომის მდივნის მოადგილეს ამხ. **დოლიძეს**. ამხ. [illegible] გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. პარტრაიკომმა მიიღო გადაწყვეტილება სკოლის **მუშაობის** გასაუმჯობესებლად. დირექტორი **გრ. ლობჟანიძე მოხსნილია სამუშაოდან.** სკოლა შევსებულია უფრო კვალიფიციური კადრებით.

ნაა ჩარიაშისა



ტფილისი—ახალი სანაპირო ქუჩა

ფიზკულტურის ტექნიკუმში

ამხ. ბერიას სახელობის ტფილისის ფიზკულტურის ტექნიკუმმა (დირექტორი **მ. გორგაძე**) სამი წლის მანძილზე შეძლო მოწინავე ტექნიკუმების რიგებში ჩადგომა.

ტექნიკუმში არსებული ფ-ტა ბიურო გადაჭარბებით ასრულებს მოცემულ ნორმებს I და II კომპლექსის მ.შ.თ. ნიშნის საფეხურზე. I საფეხურის ნიშანი 165

ფიზკულტურის ტექნიკუმის ფრიადოსნები—ოთარ დიდებულიძე და იოსებ ეიდაროვი.

კაცს მთლიანად აქვს ჩაბარებული, II საფეხურის ნიშანი ჩაბარებული აქვს 80 კაცს. აკლიათ მხოლოდ ზამთრის სახეები.

ტექნიკუმმა 1935 წ. მიიღო ორი გარდამავალი დროშა მუშაობის საუკეთესო დაყენებისათვის. ტექნიკუმი მოპოვებულ მიღწევებს არ სჯერდება და ახალი გამარჯვებებისაკენ მიიწევს.

დიდი ლენინის ფიზკულტურის დამსახურებული, ნიჭიერი და მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილი ხელმძღვანელი—გიორგი ეგნატაშვილის უდიდესი ღვაწლი ფიზკულტურელთა მომზადებაში როგორც მთელი საქართველოს მასშტაბით ისე ამხ. ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმის ხაზით.

სტახანოვური ხუთდღიური

საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციებში

საქართველოს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა სტახანოვური ხუთდღიურის ჩატარება ტფილისის სავაჭრო ორგანიზაციებში გადასდო 5 თებერვლისათვის.

სტახანოვურ ხუთდღიურში ებმება რაიონული სავაჭრო ორგანიზაციებიც. ბათომსა, სოხუმსა და ქუთაისში სტახანოვურ ხუთდღიურში მონაწილეობისათვის გამოყოფილია 10 საუკეთესო სავაჭრო წერტი.

ახალი დანიშვნა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, ამხ. **ი. ა. მარდალეიშვილი** განთავისუფლებულია საქართველოს სსრ-ში კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილის მოვალეობისაგან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილედ საქართველოს სსრ-ში დაინიშნა ამხ. **ვარლამ ტრიფონის ძე აბდალაძე.**

ფეხსაცმლის მაღაზია „ლიუქსი"

„კავშირტყავფეხსაცმელგასაღების" ა.-კ. სამხარეო კანტორა ტფილისში, რუსთაველის პროსპ. № 34, მალე გახსნის ფეხსაცმლის სანიმუშო საჩვენებელ მაღაზია „ლიუქსს". ეს მაღაზია ივაჭრებს მამაკაცის, ქალის და ბავშვის განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი ფეხსაცმლით, აგრეთვე საუცხოო ტყავგალანტერიის რიდიკულებით, პორტფელებით და სხვ.

მაღაზია „ლიუქსის" საქონლით მომარაგებისათვის „კავშირტყავფეხსაცმელგასაღებამ" ტფილისში გახსნა ფეხსაცმლის სამოდელო სახელოსნო. პირველ ხანებში სახელოსნო დღეში გამოუშვებს 100 წყვილ ფეხსაცმელს, ხოლო შემდეგ ფეხსაცმლის გამოშვება დღეში გადიდებული იქნება 250-მდე. სახელოსნოში იმუშავებს 500-მდე კვალიფიციური ხელოსანი.

სახელოსნო გამოუშვებს ყოველგვარი ფასონის მაღალი ხარისხის ფეხსაცმელს საზღვარგარეთული ჟურნალების მოდელების მიხედვით საკავშირო ფაბრიკებიდან მიღებულ საექსპორტო ტყავისაგან. საკუთარი სახელოსნოს ფეხსაცმლის გარდა მაღაზია ფეხსაცმელს მიიღებს ექსპორტზე მომუშავე საკავშირო ფაბრიკებიდანაც.

ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მაღაზიის მოწყობა, რომელიც ფორმდება და ეწყობა ინჟ. [illegible] პროექტით და ესკიზებით.

„ვეფხის ტყაოსნის" ახალი ხელნაწერი

ქ. ცხაკაიას სას. სამ. ტექნიკუმის მასწავლებელმა **გრიგოლ ხუროძემ** აღმოაჩინა „ვეფხისტყაოსნის" ახალი ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია ვინმე როსაპა კაპულაძის მიერ 1833 წლის დეკემბერში.

ხელნაწერის ტექსტი განსხვავდება დღემდე გამოცემული ვეფხისტყაოსნებისაგან. მასში ბევრია ისეთი ტაეპი, რომელიც სხვა გამოცემებში არ მოიპოვება.

ხელნაწერი შეიცავს 1587 ტაეპს. გადაწერილია იშვიათი ოსტატობით და ჩასმულია ყდაში. იგი ინახება გრ. ხუროძესთან.

ვლ. ჭირღვავა.

ქალთა შრომის პროფილაქტორიუმი

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილებას გადასცა ქალთა შრომის პროფილაქტორიუმი, მოწყობილი საბჭოს ქუჩაზე. პროფილაქტორიუმის დანიშნულებაა საზოგადოებრივ ანომალიასთან—პროსტიტუციასთან ბრძოლა. თავისი არსებობის სამი წლის განმავლობაში პროფილაქტორიუმმა დაიხსნა და საზოგადოებას დაუბრუნა არა ერთი და ორი ათეული წესიერი და ჯანსაღი ცხოვრების გზას აცდენილი ქალი.

პროფილაქტორიუმი მკურნალობდა მათ, აჩვევდა ჯანსაღ შემოქმედებითს შრომას და უწევდა პატრონობას უმწეო და უპატრონო ქალებს. პროფილაქტორიუმში რამდენიმე ხნის ყოფნის შემდეგ ბევრი საბოლოოდ გამოსწორდა, გათხოვდნენ, მოაწყვეს თავიანთი ოჯახები და ბევრ მათგანს ახლა შვილებიც ჰყავს. პროფილაქტორიუმი იხსნის [illegible] და ჯანსაღი ცხოვრების გზიდან [illegible] ქალებს [illegible].

პროფილაქტორიუმთან მოწყობილია სახელოსნოები, სადაც ქალებს აჩვევენ შრომას (კერვა-ქარგვა, წინდების ქსოვა, დიასახლისობა და სხვ.).

ფოტო [illegible]

ტფილისის დიზოს საუკეთესო სტახანოველები დააჯილდოვეს ძვირფასი საჩუქრებით. სტახანოველი მემანქანე ამხ. **კუზმინი** ტექნიკური სისწრაფის ნორმების გადაჭარბებისა და სანიმუშო მაჩვენებლებისათვის დააჯილდოვეს საკერავი მანქანით. **სურათზე:** სტახანოველი მემანქანე კუზმინი

ხელოვნება

სტახანოველები მარჯანიშვილის სახ. თეატრში

30 იანვარი მარჯანიშვილის სახ. თეატრში სადღესასწაულო დღედ იქცა. [illegible] სტუმრობდნენ ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილები — სტახანოველები [illegible] მოიწვია თეატრმა სპექტაკლ „ჩატეხილ ხიდზე" დასასწრებად [illegible] სამეფო კოლმეურნეობის სტახანოველები, სამეფო ნაწილის წითელარმიელები, უნივერსიტეტიდან და სკოლებიდან ფრიადოსანი სტუდენტები და მოწაფეები.

[illegible]

[illegible] ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას სახელის ხსენებამ ტაშის და ოვაციების ახალი ტალღა აიზვირთა. სცენიდან იქნის შესხმული „გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილებს სტახანოველებს"; და კვლავ ქროდა ლოვანი ტაშისცემა.

წარმოდგენის დასასრულ გამოითქვა სურვილი მოკლე ხანში შეიკრიბოს სტალინის რაიონის სტახანოველთა თათბირი თეატრის მუშაკებთან ერთად, რომელიც [illegible] მუშათა მხატვრულ მომსახურების საკითხებზე.

„ბახტრიონი"

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ოპერის თეატრი შეუდგა სამზადისს გრ. კილაძის ოპერა „ბახტრიონის" დასადგმელად.

ოპერისათვის შერჩეულია შემსრულებელთა ორი შემადგენლობა. პირველ შემადგენლობაში მღერიან **დ. ხიხაძე, ტ. [illegible], ნ. ქუმსიაშვილი, ს. [illegible], ლ. [illegible], შ. ცინცაძე, მ. ყვირილაშვილი, [illegible].**

მეორე შემადგენლობა: **[illegible], სტეფანიანი, დ. [illegible], პ. [illegible], გ. [illegible], ვ. [illegible], ს. [illegible], ა. [illegible].**

ოპერის დადგმა მინდობილი აქვს ახალგაზრდა რეჟისორ **ამხ. ალექსიძეს**, მხატვარ **ს. [illegible]**, დირიჟორი **[illegible]**, ბალეტმეისტერი—**დ. ჯავრიშვილი.**

პრემიერა—1 მაისს.

შემთხვევები

# ქურდ-რეციდივისტების შეპყრობა. 29 იანვარს ღამით ბესიკის ქუჩაზე სახალხო სამართლის მილიციის თანამშრომლებმა შენიშნეს ქურდ-რეციდივისტების ჯგუფი, რომელსაც დაედევნა მილიცია. [illegible] მილიციის თანამშრომლებმა დაიჭირეს [illegible] გიორგაძე, [illegible] ბოროტმოქმედთ ჩამოართვეს რევოლვერი სამხედრო ვაზნებით

# გაუფრთხილებელი სვლა. [illegible] ქუჩაზე, კინო-თეატრ „ოქტომბრის" მახლობლად, სატვირთო ავტომობილი 18 14-98. მოძრაობის წესების დარღვევის გამო, დაეჯახა შ. დ. [illegible] და [illegible] დააზიანა. შოფერი ე. გ. [illegible] შეიპყრეს.

# ხულიგნობისა და ტრამვაის კონტროლიორის გ. ს. [illegible] შეურაცხყოფისათვის დააპატიმრეს და პასუხისგებაში აძლევენ ბ. მ. [illegible] (იურევის ქ. 1).

ექიმთა საზოგადოებაში

სამედიცინო სამღლიური

[illegible]

მზადება სამედიცინო დეკადისათვის

[illegible] წლის აპრილს ტფილისში გაიმართება საქართველოს ექიმ-მეცნიერთა ... დეკადა ამ დეკადაში საქართველოდან მონაწილეობას მიიღებს [illegible] მეცნიერი საქართველოს ექიმთა საზოგადოებამ [illegible] შერჩეულია დეკადის განმავლობაში წასაკითხი მოხსენებათა იმბები. [illegible] საზოგადოებამ გამოსცა [illegible] საქართველოში წაკითხული მოხსენებები [illegible] მეცნიერების მიღწევები 15 წლის განმავლობაში

განრიგი

საქ. კ.პ.(ბ) ც.კ.-თან არსებულ დაუსწ. სწავლების ინსტიტუტის განყოფილების რადიო ლექციებისა 1936 წ. თებერვლისათვის

1 თებერვალს საღ. 7 ს. ქართულად—ლენინური მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ [illegible]

5 თებერვალს საღ. 7ს. იგივე თემა იმავე მსმენელთათვის რუსულად.

7 თებერვალს საღ. 7 ს. ქართულად ხ-კოლმეურნეო შემოსავლის განაწილება სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების საფუძველზე— ორგანიზებული რადიომსმენელებისა და პარტაქტივისათვის.

9 თებერვალს საღ. 7 ს. ქართულად—მარტივი სასაქონლო მეურნეობა და მისი განვითარების კანონები — პოლიტეკონომიის მესაჯენეთა და ორგანიზებული რადიომსმენელთათვის.

11 თებერვალს საღ. 7 ს. ქართულად—როგორ შევისწავლოთ ლენინის ნაშრომი —„იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" — ორგანიზებული რადიომსმენელებისა და პარტაქტივისათვის.

13 თებერვალს საღ. 7 ს. ქართულად ბოლშევიკური პარტია რეაქციის და ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში (1907—1914 წ.)—საკ. კ.პ.(ბ) ისტორიის მესაჯენეთა და ორგანიზებულ რადიომსმენელთათვის.

15 თებერვალს საღ. 7ს. იგივე თემა იმავე მსმენელთათვის რუსულად.

17 თებერვალს საღ. 7ს. ქართულად—ჩვენ ვიბრძვით სოციალიზმისათვის, კომუნიზმისათვის — ორგანიზებული რადიომსმენელებისა და პარტაქტივისათვის

19 თებერვალს საღ. 7 ს. ქართულად—ფულის არსი კაპიტალიზმის პირობებში—პოლიტეკონომიის მესაჯენეთა და ორგანიზებული რადიომსმენელთათვის.

21 თებერვალს საღ 7ს. ქართულად—მარქსი და ენგელსი, ლენინი და სტალინი სახელმწიფოს და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ — ლენინიზმის მესაჯენეთა და ორგანიზებულ რადიომსმენელთათვის.

23 თებერვალს საღ. 7 ს. ქართულად—რა არის პროლეტარიატის დიქტატურა—ორგანიზებულ რადიომსმენელებისა და პარტაქტივისათვის.

25 თებერვალს საღ. 7 ს. ქართულად პარტია იმპერიალისტური ომის წლებში—საკ. კ.პ. (ბ) ისტორიის მესაჯენეთა და ორგანიზებულ რადიომსმენელთათვის

27 თებერვალს საღ. 7ს. იგივე თემა იმავე მსმენელთათვის რუსულად.

28 თებერვალს საღ. 7 ს. ქართულად—კაპიტალის პირვანდელი დაგროვება—პოლიტეკონომიის მესაჯენეთა და ორგანიზებულ რადიომსმენელთათვის.

29 თებერვალს საღ. 7 ს. ქართულად—საბჭოები — პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანოები— ორგანიზებული რადიომსმენელებისა და პარტაქტივისათვის.

ოპერის თეატრში

დღეს მე-6 ახ. მე-9 წარმოდგენა [illegible] ბალეტი „[illegible]". ხვალ—მე-3 ახ. მე-8 წარმოდგენა [illegible] „[illegible]".

[illegible]

მარჯანიშვილის თეატრი

1 თებერვალს წარმოდგ. № 79 — შ ა მ ი ლ ი

2 თებერვალს წარმოდგ. № 80 — შ ა მ ი ლ ი

დასაწყისი 7 ს. 30 წ.

ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11—2 ს. საღ 6—9 ს.

რუსთაველის თეატრი 1935—36 წ. სეზონი

დღეს 17 აბონ. 4 წარმ. — ნაბიჭვარი

2 თებერვალს 5 აბონ. 4 წარმ. — in tirannos

3 თებერვალს 19 აბონ. 4 წარმ. — in tirannos

[illegible]

სალარო ღიაა 11—2 ს. და 6—9 საათამდე. დასაწყისი 7 ს. 30 წ.

[illegible] 6, 7-30, 9, 10-30 — ამერიკული ხმოვ. რუსულ ენაზე მოლაპ. რაკ. ფილმი „უჩინარი ადამიანი" ჰ. უელსის რომანის მიხედვით. ბავშვები 16 წლამდე არ დაიშვებიან.

„[illegible]" 6-30, 8, 9-30 11 — [illegible]: 1) [illegible] 2) [illegible] № 1, 3) [illegible]

„ახალი ამბები" — ახალი ხმოვანი ფილმი „ლ ე ნ ი ნ ი"

რ. ლ. [illegible] სახ. [illegible] 30 8 30 11 — დიდი ხმოვანი ფილმი „[illegible]"

„[illegible]-ის კომუნ. სახ. [illegible] 8 [illegible] 10 [illegible]

— გამოფენა. —

მიძღვნილი 1905—1907 წ. წ. რევოლუციისადმი საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში.

ღიაა დღის 10 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე.

საქართველოს მუზეუმის შენობაში რუსთაველის პროსპექტი 1.

ექსკურსიებისათვის კონსულტაციის მისაწვევად საჭიროა წინასწარ აცნობოთ ტელეფონით (№ 3-13-49) ან წერილობით საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-თან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალს (ლენინის ქუჩა № 16), თან უნდა აღინიშნოთ გამოფენის დათვალიერების დრო და რომელ ენაზე უნდა მოეწყოს კონსულტაცია.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალის დირექცია.

12597

თანახმად ინვალიდთა არტელ „რეკორდის" წევრთა საზოგადო კრების დადგენილებისა ა. წ. 25 იანვრის

არტელი „რეკორდი" ლიკვიდირებულია.

ყველა ორგანიზაციამ და პირმა, რომელთაც რაიმე პრეტენზია აქვთ არტელთან, უნდა განაცხადოს ა. წ. 15 თებერვლამდე, რის შემდეგაც არავითარი პრეტენზია ლიკვიდკომის მიერ არ მიიღება.

ლიკვიდკომის მისამართი: [illegible] კონსერვატორიის ქ. № 40.

12574 ლიკვიდკომი.

ტფილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი

1 თებერვლიდან ხსნის მოსამზადებელ კურსებს.

კურსებზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის (შვიდწლედების) კურსდამთავრებულნი. კურსებზე ჩასარიცხავად საჭიროა წარმოადგინონ განცხადება, განათლების მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ტექნიკუმის კანცელარიაში ჯამბულის(?) ქ. № 70.

50 ტექნიკუმის დირექტორი მ. იმუტი.

[illegible] 12588 12584 12576 12582 12591 12583 12589 12581 12559 12548 12544 12566 12555